

# ლიტერატურული განხეთი

№19 (371) 11 - 24 ოქტომბერი 2024

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევი

ფასი 80 თეთრი



## გიორგი ლობჟანიძე

ეს სამი კვირა,  
რაც იყო, ხომ იყო.  
ახლა თვითონაც ბევრი პრობლემა აქვს,  
უამრავი თავისი საზრუნავი —  
მოსავლელ-მისახედი.

მამამ ახლო ნათესავს მადლობა გადაუხადა  
გამოჩენილი სანიმუშო,  
საჩვენებელი ყურადღებისთვის.  
და მიჰყავს პატარა გოგო მეორე ნათესავთან,  
ვიდრე დედა გამოჯანმრთელდება  
ან ვიდრე იმ ნათესავსაც  
თავისი საქმეები გამოუჩინდებოდეს,  
გადაუდებლად მოსაგვარებელი.

და, აი, ეს კადრი  
მთელი ცხოვრებაა:  
მამა და პატარა გოგონა წვიმაში,  
კეთილი ნათესავიდან  
უფრო კეთილ ნათესავთან მიმავლები...  
სანამ დედა გამოჯანმრთელდება  
და შინ  
ფაბრუნდება...  
სამივე მათგანი...

როგორ მომენატრა  
ძველი გაზაფხული,  
მინდორში იების კიაფი,  
მოვიდნენ ლორები  
და სველი დინგებით  
მთხოვენ  
მარგალიტებს იაფად...  
მარგალიტის ყადრი  
ლორებმა რა იციან,  
უნდათ საჩვენებლად,  
საგიფედ...  
მე მართლა იმ ღორის  
დედას რა ვუთხარი,  
ვინც თქვენ მარგალიტებს  
გაგიფენთ...  
სულში ჩავიპრუნებ ყველა  
ჩემს მარგალიტს,  
სადაც უდაბნოა ურნებავი...  
მინდვრებს აფენია  
ის მარგალიტი,  
როგორც ანგელოზის  
კურცხალი...

## აჯიბადების ფანჯრები

და როგორც ბოლო ბიზანტიელი,  
თევზივით აღმა მივყვები სტამბოლს  
და მჯერა, იგი ჩემთვის სახელად  
რომ არ დაირქმევს შეწყვეტილ ამბორს.  
საავადმყოფოს ფანჯრებთან აღნევს  
თეთრ თოლიათა რიგი და რიგი,  
ქალაქი თავის ცხოვრებით ცხოვრობს  
საავადმყოფოს ფანჯრების იქით.  
ვეჩურჩულები საყვარელ ქალაქს:  
ნუ მიმატოვებ შენს უამბოროდ,  
სიზმარო ლურჯი მინარეთების,  
თოლიებივით თეთრო სტამბოლ!

აქ არის ჩვენი აჯიბადემი,  
სადაც ხელახლა დავიბადებით.

ლილის,  
რომელიც ძალიან დიდია

მაინც რამდენ დარდს უძლებს ადამიანის გული?

აი, მამა და პატარა გოგონა წვიმაში  
მიდიან.

დედა ძალიან ავადა.

გოგონა ახლო ნათესავთან იყო,  
რომელმაც მამას გამოუცხადა,  
რომ ვეღარ შეძლებს ბავშვის შეფარებას.

ეს სამი კვირა,  
რაც იყო, ხომ იყო.  
ახლა თვითონაც ბევრი პრობლემა აქვს,  
უამრავი თავისი საზრუნავი —  
მოსავლელ-მისახედი.

მინა ცივია,  
ზეცა შორი,  
მოგონებების  
გზაგასაყარი  
შეხვედრაა  
ცისა და მინის.

არც ძველებური  
ურუანტელი,  
არც გასახარი,  
და მაინც, როცა  
დარდის თბილი  
საბანი  
მხურავს,  
თითქოს  
არსადაც არ წასულა  
დედა,  
აქ არის,  
დავყურებ ხსოვნის  
გალიშის ქვეშ  
ჩამალულ  
სურათს.

\* \* \*

მე კიდევ იმასა ვფიქრობ,  
რამ შემქნა ეგრე რეგვენი?  
ვერც შევებრძოლე საწუთოს,  
ვერც მუხლზე ჩამოვექნი.  
თავი სულ ისე მეჭირა,  
თითქოს არავინ ვიყავი,  
ყველა გულდაგულ მრიყავდა,  
მე ვიყავ გაურიყავი.  
სულ ნამდვილ ცეცხლად დამდალა,  
გულზე სახმილის მოდნობამ.  
ჩემი ფასი კი ვიცოდი...  
ნეტავი, არა მცოდნოდა...

## რჩევა

ჩემო შვილო,  
როცა დიდ საქმეზე ხელი გიყიდია,  
წვრილმანებს ყურადღება არასდროს მიაქციო.

ძველი სიბრძნეა,  
მაგრამ ერთი რამ გამორჩა ამის მთქმელს:

წვრილმანებსა და არა — დეტალებს.  
დეტალები მუდამ მთავარია!

იმას კი ვერავინ გასწავლის,  
დეტალები და წვრილმანები ერთმანეთისაგან  
როგორ გაარჩიო,  
გარდა ცხოვრებისა!

პოდა, ნუ გეშინია,  
ნადი და იცხოვრე!  
ცხოვრება ნიშნავს:  
რაღაცა შეგეშალოს!

## იდენტობა

ფლე, როცა ვარსკვლავმა აღმოაჩინა,  
რომ ცაზე კი არ ციმციმებს,  
კომკავშირელის  
მკერდზეა დაბნეული...

ყველაზე მნარედ  
ვერ ჩანაცვლებს  
დედის სახეს  
დედის სურათი —  
ყველაზე მნარედ  
ეს სიმართლე  
ობოლმა იცის.

როგორც კი მზე აჭერს, ყოველ წელს  
რაღაც წარმართული ლოცვით  
მელნისფრად ინთება მცხეთაში  
არმაზის კალთებზე მოცვი.  
თავსა დამართს სცემს და ღუდუნებს  
ცრემლითა მწარითა: იქნებ,  
ვარსენი კი არა, მე თვითონ,  
სამგზის საწყალობელ ვიქმენ!  
ქარში ჩემს მელნისფერ ნაყოფს  
თავში ხელებივით დავიშენ,  
ან როგორც მარტოობის ორლანის  
უამით ჩამუქებულ კლავიშებს,  
ისე ავაუღერებ მწუხარედ,  
ვით ხმაურს მძვინვარე მეწყრის,  
ვარსენ, თაყვანი მეც, ვბრიალებ,  
როგორც ატროშანის ცეცხლი!

## ნასვლა

სწორად შენიშნეთ: მუდამ მშვიდი ვარ,  
მაგრამ იმას, ვინც დიდხანს მედავა,  
ვეტყვი: უბრალოდ, როცა მივდივარ,  
მივდივარ უკან მოუხედავად.  
ყველაფერს უუძლებ... ვერ ვეგუები  
მხოლოდ ქარების ზუზუნს და წინინს...  
მზე ამოვიდა, თუ ჩემს ზურგს უკან  
გაძლების მტკიცე ხიდები იწვის...

## კლინიკური ლექსი

გადადებულ პაციენტს  
გადაუდებელი დახმარება  
გაუწიეს...  
იმუნიტეტდაქვეითებულს,  
ახლა მთავარია,  
არაფერი გადაედოს,  
თორებ  
მთავარ  
დაავადებას  
როგორლაც მიხედავენ...  
გადამდები ოპტიმიზმით  
შეიარაღებული ექიმი  
ჩვენც გვამხნევებს,  
იმის მიუხედავად,  
რომ სიცოცხლეც  
სქესობრივად გადამდები დაავადებაა  
და მისი რემისია შესაძლებელია,  
რათა ლეტალური გამოსავალი  
ღრმა სიბერემდეც კი გადაიდოს...

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ჯერობ სელინჯერის რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“ ხშირად მეორდება სიტყვა phonny (თვალთმაქცი). თვალთმაქცად მიაჩნია ჰოლდენი კოლფილდს სკოლის დირექტორი თარმერი, რომელიც კოლეჯის მოსწავლების მდიდარ მშობლებს ელაქუცება, დარიბებს კი ცივად ართმევს ხელს; მუსიკოსი ერნი, ნარცისად რომ ქცეულა და თავგმაბალი ადამიანის როლი მოურგია; კოლეჯის სტუდენტები, რომლებიც მხოლოდ „იმიტომ სწავლობენ, რომ ცოტა გამოიქვექონ და ერთ მშენეერ დღეს ის ოხერი კადილაკი შეინიონ“. თითქოს ყველა სიცრუის სულს შეუპყრია, რომელიც ადამიანს სხვადასხვა ცოდვისკენ უბიძგებს: ფულის გადამეტებული სიყვარულის, თვალთმაქცობის, მლიქენელობისა და სულიერი სიცარიელისკენ. რომანის მთავარი გმირის ძმა დ. ბ.-ც ფულის გაკერპებისენაა მიღრეკილი. მას ჰოლდენი prostitute-ს უწოდებს, რადგან ერთ დროს კარგი მნერალი ფულზე მიეყიდა ჰოლივუდს. ფული კერპია, მასზე გაყიდული ადამიანი კი — მეძავი, რომელიც ბიბლიური გაგებით „უკახო ლერთთან მრუშობს“.

XX საუკუნეში ადამიანები ქველი იუდე-  
ველების მსგავსად არ ღალატობდნენ საკ-  
უთარ რწმენას და გორაკებზე მსხვერპლს  
არ სწირავდნენ ბომბოქბს, თუმცა მათ შე-  
ქმნეს ფულისგან კერპი და წარმართებივ-  
ით გააღმერთეს. სწორედ ეს ანუხებს ყვე-  
ლაზე მეტად კოლფილდს. მის მთავარ ტრა-  
გედიას უილიამ ფოლკნერი ასე აყალიბქნა: „ინტელიგენტურსა და სხვებზე ოდნავ მგ-  
რძნობიარეს მარტივი რამ სურდა, შეეყვა-  
რებინა კაცობრიობა, მაგრამ როდესაც  
მოისურვა ადგილი დაემცვიდრებინა საზო-  
გადოებაში... აღმოაჩინა, რომ იქ ადამიანი  
აღარ იყო... დიახ, კოლფილდი მზადაა შეიყ-  
ვაროს კაცობრიობა, მაგრამ ადამიანს ვერ  
პოულობს, რადგან ის ფულის, ამ ახალი კე-  
რპის თაყვანისცემას გადაუგვარებია და  
სულიერად დაუმახინჯებია. ჰოლდენს უჭ-  
ირს ურთიერთობა თვალთმაცეპთან, სა-  
ზოგადოების გარკვეული ჯაფუფისთვის  
დამახასიათებელი ლექსიკით რომ მეტყვე-  
ლებენ და ჯოგურად აზროვნებენ. ისინი  
თითქოს ინდივიდები არც არიან. „ყველას  
თავისი ბინძური ბანდა ჰყავს და იმათთან  
ტრიალებს“, — ეუბნება ჰოლდენი სალის,  
თავის მეგობარ გოგონას. კოლფილდს სკ-  
ოლში არსებული მდგომარეობაც აღიზი-  
ანებს, თანატოლების სულიერი სიცარი-  
ელე; „მთელი დღეები ცარიელი ყედობა  
— გოგოებზე, დალევაზე, ხვევნა-კოცნა-  
ზე“. კოლექტიური ცნობიერებაც აუტანე-  
ლია, რადგან „კალათბურთელები ცალკე  
დაძრნიან, კათლილიკები — ცალკე, ეს და-  
წყევლილი ინტელექტუალისტები — ცა-  
ლკე, ბრიჯის მოთამშებებიც თავისთვის  
არიან“. თვით კათხვის მოყვარულებიც რა-  
ღაც კლუბში განევრიანებულან და „ძალი-  
ანაც რომ მოინდომო, ნესიერად გამოლა-  
პარაკება...“ აქ ჰოლდენს სალი ანუყეტინე-  
ბს, რომელსაც მიაჩინა, რომ სკოლაში ბევ-  
რი რამის სწავლა შეიძლება. თუმცა კოლ-  
ფილდს სულ სხვა რამის თქმა სურდა. მისი  
აზრით, საზოგადოებაში სიცრუის სული  
და ჯოგური აზროვნება იყო გამეფებული  
და ადამიანი აღარც არსებობდა, ინდივი-  
დი, რომელსაც გამოელაპარაკებოდა...

\* \* \*

სიცრუე და თვალობმაქცობა ადამიანს-  
აც რომ ღუპვდა და საზოგადოებასაც, ეს  
სელინჯერამდე ბევრად ადრე იყო ცნობი-  
ლი. პირფერი და ცრუ წინასწარმეტყველე-  
ბი ხანდახან ისრაელის მეფეებსაც აგდებდ-  
ნენ განსაცდელში და მთელ ერსაც. ბიბ-  
ლიური ამბეჭი მარადიულ თემებს ეხება,  
ამიტომ ისინი თავიანთი არსით დღესაც  
მნიშვნელოვანი არიან. გავიხსენოთ თუნ-  
დაც მეფე აქაბის ამბავი და მისი სამეფო,  
რომელსაც სიცრუეს სულმა შეურყია სა-  
ფუძველი. მეფეს არ ძალუდდა, სამართ-  
ლიანად ემართა ქეყანა და ფეშმარიტებ-  
ის გზას დასდგომოდა. ის მერყევი ადამი-  
ანი იყო და წარმართი ცოლის გავლენით  
კერპთაყვანისმცემლობისკენ იხრებოდა.  
ამის გამო დაუშვეს ზეციურმა ძალებმა მი-  
სი დაღუპვა. აქაბი უნდა გაეტყუებინათ  
ისრაელიდან, რომ გალაადზე გაელაშქრა  
და იქ დაცემულიყო ბრძოლის ველზე, ქა-  
ლაქ რამოთში. მაგრამ ვინ გაიტყუებდა  
უკეთურ მეფეს ან როგორ? სწორედ ამის  
შესახებ ბჭობდნენ ზეციური ძალები. „ერ-

## თემურ გაბუნია



# ცინასცარმატყვალური რომანები

მკითხველი განებივრებულია სათავეგადასავლო, ისტორიული, თრილერის, ფენტეზის ჟანრის თხზულებებით. ზოგს კლასიციზმი მოსწონს, ზოგს — რომანტიზმი, სხვებს — სასიყვარულო ინტრიგაზე აგებული გასართობი ლიტერატურა. თუმცა ოდითვანვე იქმნებოდა ზოგადსაკაცობრიო ნაწარმოებები, რომლებში ნამოქრილი საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია თავიანთი არსით, რომ ეს ნივნები ნინასნარ-მეტყველურადაც კი ძეიძლება მიიჩინოთ.

ესეიში „ნინასხარმეტყველური რომანები“ სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ობ-ზულებების შესახებ მინდა, გესაუბროთ.



თი ამას ამბობდა, მეორე — იმას. გამოვიდა სული, წარუდგა უფალს და თქვა: მე გავიტა-  
ყუებ. ჰკითხა უფალმა: რითი? მიუგო: გა-  
ვალ და სიცრუის სულლად ვიქცევი ყველა  
მისი წინასწარმეტყველის ბაგეში” (მესამე  
მეზათა. 22, 20—22).

ასეც მოხდა. ოთხასმა ცრუ წინასწარ-  
მეტყველმა ურჩია მეფე აქაბს, გალადზე  
გაელაშქრა. მხოლოდ ერთი მართალი წინა-  
სწარმეტყველი, მიქა მოუწოდებდა, არ ებ-  
რძოლა, რადგან ხილვაში ხედავდა მთებზე  
უმწეო ფარასავით მიმოფანტულ ისრაელს.  
სამწუხაროდ, მეფემ ცრუ წინასწარმეტ-  
ყველებს დაუჯერა და არა მიქას. აქაბი რა-  
მოთში სასიკვდილოდ დაიჭრა და საომარი-  
ეტლში სისხლისგან დაიცალა. „გარეცხეს  
ეტლი სამარიის ტბორზე და ლოკავდნენ-  
ძაოლები მის სისხლოს“ (იოზ 2, 38).

უბედურება ისაა, რომ მსოფლიო დღესაც უშძრო ფარასაგვით მიმოფანტულ ის-რაელს ჰგავს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი — სიცრუის სულთ შეპყრობილს, მართალი სიტყვა რომ აღარ ესმის. უმეტესწილად ოვალომაქცებსა და მლიქე-ნელებს დარჩენიათ სარძიელი. სწორედ ესა აწუხებს პოლდენ კოლფილდს და საკუთართავს ადანაშაულებს, რომ არა საკმარისად გამბედავთ, ნინ აღუდგეს ბოროტებას. კოლეჯიდან ნამოსვლის უმთავრეს მიზეზს

ის მხოლოდ ფიბის უმხელს, რომელიც მის-  
თვის წმინდა ცნობიერებისა და ბავშვური  
უმანკოების სიმბოლოა. როდესაც ჰოლდ-  
ენი უზარმაზარ ქალაქში ხმის გამცემს ვერ  
პოულობს, სწორედ უმცროსი და ევლინე-  
ბა მაშველ რგოლად, მასთან გულწრფელი  
საუბარი. აქამდე ჰოლდენს არავისთვის  
უთქვამს, საიდუმლო საძმოში ყოფნა მანუ-  
სებსო, არადა, თურმე საკუთარი თავი ლა-  
ჩრად მიაჩნდა, ორგანიზაციაში შესვლაზე  
დათანხმების გამო. ჩემს სკოლაში „რაღაც  
ოხერი საიდუმლო საზოგადოება მოიგო-  
ნეს“, მე კი ვაჟეკაციობა არ მეყო, შესვლაზე  
უარი მეტქაო, აი, რა შესჩივლა დას. თუმ-  
ცა უილიამ ფოლკნერმა (1958 წლის 24 აპ-  
რილს ვირჯინიის უნივერსიტეტში სტუდე-  
ნტებთან პრეზიდენტი ეიზენბაუერის გეგ-  
მის განხილვისას) არა გაუბედაობა, არა-  
მედ სულ სხვა რამ მიიჩნია სელინჯერისა  
პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის უმთა-  
ვრეს ტრაგედიად.

პირების მოვლა შემოგთილ ფიქაში

სანდახან ლამაზი შეფუტვით გვაწვდო-  
ან იმას, რაც არაა სასარგებლო სულიერე-  
ბისთვის, მეტიც, პიროვნების თავისუფლ-  
ების შეზღუდვისკენაა მიმართული. ეს ბრჭ-  
ყვიალა შეფუტვა ადამიანს ხიბლავს და ვე-

რც ხვდება, როგორ აქცევენ ჩარჩოში ნინა-  
სნარ საგულდაგულოდ შედგენილი გეგმის  
მიხედვით. „ძმობა, ერთობა, თავისუფლე-  
ბა“ იყო მეამბოხეთა ოზუნგი ოქტომბ-  
რის რევოლუციამდე. თუმცა გამარჯვებ-  
ის შემდეგ ბოლშევიკებმა მდას მდა მოაკვ-  
ლებინეს, ქვეყნის ერთობაც დაარღვიეს  
(ოთხ მილიონამდე ადამიანი გააქციეს რუ-  
სეთიდან), მერე კი საკუთარი მოქალაქები  
კომუნისტური იდეოლოგიის მონებად აქ-  
ციეს...

სწორებ ადამიანის დამონების საშუალებების შესახებ საუბრობდა უილიამ ფოლკნერი უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ცნობილა, რომ ცალკეული ინდივიდის გაკონტროლება უფრო რთულია, ვიდრე ადამიანთა ჯგუფების. რომელი სპეცსამსახური აუგიდოდა მილიარდობით ადამიანის კონტროლს? ამისთვის არც კადრები ეყოფილა და არც სახსრები. მაგრამ, თუკი შედარებით ნიჭიერ, საზოგადოებაზე გადლენის მქონე პიროვნებებს ს სხვადასხვაორგანიზაციებში გააერთავნებდა, მაშინ მასების კონტროლიც გაადვილდებოდა. ამ პირინციპით იყო შედგენილი პრეზიდენტი ეიზენჟაურის გეგმაც, რომლის თანახმადაც რიგითი ადამიანები კი არ უნდა გასაუბრებოდნენ ერთმანეთს, არამედ ერთი ჯგუფის წარმომადგენლები — მეორეს.

— ორი წლის ნინ პრეზიდენტმა ჩაითვალისწილებული — იქინია. — როი წლის ნინ პრეზიდენტმა ჩაითვალისწილებული — იქინია. რომელიც ძირითად სწორ იდეაზე იყო დაფუძნებული, — ასე დაიწყო სტუდენტებთან საუბარი მწერალმა. მართლაც, რა სჯობდა, თუკი განსხვავებული ეროვნების ცალკეულ პიროვნებებს, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ, საშუალება მიეცემოდათ გასაუბრებოდნენ თავიანთ კოლეგებს მთელ დედამიწის ზურგზე? მუშა — მუშას, მეცნიერი — მეცნიერს, ადვოკატი — ადვოკატს? ყველა სიხარულით გაიზიარებდა ამ იდეას. თუმცა, მწერლის აზრით, სწორედ სიტყვათა ამგვარ წყობაში იყო მთავარი საფრთხე. რატომ მაინც ამაინც მუშა — მუშას, ბანკირი — ბანკირს, მსხვილი მეწარმე — მსხვილ მეწარმეს? ხომ არ ნერგავდა ხელისუფლება რაღაც მითიურ რწმენას, თითქოს პიროვნებას აღარ შეეძლო პიროვნებასთან საუბარი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ინდივიდუალურად მოაზროვნე ადამიანი უკვე საერთოდ აღარც არსებობდა? ნუთუ არ შეიძლებოდა ერთ ადამიანს მეორესთან ჩვეულებრივად ესაუბრა თავის სატყივარზე, ისე, რომ რომელიმე ორგანიზაციაში არ განწევრიანებულიყო? თითქოს ვიღაც ცდილობდა, ჩაევონებინა ადამიანისთვის, რომ მას უკვე აღარ ჰქონდა ისეთი თვისებები, როგორებიცაა: პატიოსნება, სიბრალული, პასუხისმგებლობა და თანაგრძობა. ხელისუფლება ცდილობდა, მოქალაქეები და ეროწმუნებინა, რომ რადგან ყოველივე ეს უკვე აღარ არსებობდა, იმის იმედიღა უნდა დარჩენდათ, რომ ორგანიზებულ ჯგუფებში ეარსებათ, სადაც თავის ინდივიდუალობას უკეთ უარყოფნენ და ჩაიხშირდნენ. საზოგადოება ერთმანეთთან დაპირისპირებულ ახირებულ ჯგუფებად და ფრაქციებად იყო დაყოფილი. სინამდვილეში ეს ფრაქციები ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე რამეს გულისხმობდნენ — ორაზროვნად, აბსტრაქტულად. „ხალხთა დემოკრატია“, „უმცირესობის უფლებები“, „სამართლის თანასწორობა“, „სოციალური კეთილდღეობა“ — ფოლკერის აზრით, ეს სიტყვები იმ დეკორაციას წარმოადგენდნენ, რომლითაც უსირცხვილოდ ამართლებდნენ უპასუხებისმგებლობას და ადამიანებს კი არ ინვევდნენ, არამედ აიძულებდნენ, მონაწილეობას მიეღოთ ამ ფარსში.

რა უნდა მოიმოქმედოს მწერალმა? „ის წინ უნდა აღუდგესა მმ შემოტევას“, გაიღოს „მცირე, მაგრამ ძვირფასი პიროვნული ძალა“ იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, „რაც თრგუნავს მის ინდივიდუალურობას“, რათა ნამდვილი ხელოვანი გახდეს. „საქმე ისაა, — დასხენს ფოლკნერი, — რომ ახალგაზრდა მწერალს დღეს თანამედროვე სახელმწიფო, რომლის დახატვასაც ვცდილობდი, აიძულებს იმოქმედოს კაცობრობის ერთგვარ სიცარიელეში“, რომელიც „მას არც ამოურჩევია, ვერც გასწვდება და ვერც გაექცევა, როგორც ბუზი ვერ გაფრინდება პირქვედა მხობილი ჭიქიდან“. სწორედ ამ დროს დაიწყო ფოლკნერმა სელინჯერის შესახებ საუბარი, საგანგებოდ გამოყო ის სხვა ახალგაზრდა მწერალთაგან და ახსენა „თამაში ჭვავის ყანაში“, ნაწარმოები, სრულყოფილად რომ გამოხატა-



გიორგი  
ლობჟანიძე



ქალაქის ჩაყვანა

უნდა რქმეოდა ამ ლექსს „ძალის გასეირნება“, მაგრამ „ჩაყვანა“ ჩემთვის უფრო ბუნებრივია: სულ ასე ვამბობს:

„ჩავიყვანო ახლა ეს ძალი!“

ჩენ მესამე სართულზე ვცხოვრობთ, ქალაქის ბოლოს,

გამუდმებულ ქარიშხალში მოქცეულები.

მუდმივი დელგმა გვაკრავს გარშემო

და ამ დელგმაში თითქმის ყოველთვის მეზარება შინიდან გასვლა,

მაგრამ დღეში ორჯერ

ძალისთვის

მაინც მიწევს

ქვემოთ ჩასვლა

მისი თანხლებით,

მასთან ერთად

ირგვლივ გაშლილ ველზე სირბილი,

შორი და მყუდრო ადგილების ძებნა

ძალის მოსასაქმებლად.

წლების წინათ

ჩვენი კორპუსის იქით

ტრიალი მინდვრები იყო,

უკაცრიელი,

რამდენიმე

ბინის ნანგრევით,

კომუნისტებს რომ წამოეწყოთ მათი შენება,

ვედარ მოესწროთ

და ეს მწირი პეიზაჟი —

ქარიშხლითა და ხრიოკი ნგრევით —

იმ ეპოქის და ჩვენი დროის

შემხებ წერტილად,

„ვაშა ამ ახალ საქართველოდ,

ვაშა შენებად!“

დარჩენილიყო...

დაახლოებით სამი წლის წინათ  
საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილ ქართველებს  
აშ ნანგრევებში  
ჩასახლების უფლება მისცეს.  
შემოვსივნენ  
როგორც გამრჯე ჭიანჭველები,  
დაუმთავრებელ კორპუსებსაც დასდეს საშველი,  
სულ ხელახლა ააშენეს,  
გაალამაზეს,  
მოაპირეოთეს,  
გააცოცხლეს,  
აახმაურეს.  
მე ვიტყოდი, რომ ზედმეტადაც,  
რადგან ისედაც  
არტისტული მჩქეფარების  
კუთხის შვილები —

ამდენი ჭირით,  
ომით  
ნერვებმოცვეთილები —  
ახლა მუდმივად  
ჩხუბობები და მუშტიკრივი აქვთ:  
ცოლი ქმარს,  
შვილი დედას,  
მოყვარე მოყვარეს  
ებრძვის.  
ამდენი ხანი ამბოკარი,  
აღარაფრის მქონე ხალხი  
ახლა  
ერთ მეტრ ფართობზე ჩხუბობს...  
ერთ ფანჯარაზე,  
ერთ კედელზე  
და ერთ კუთხეზე.  
„რა ამბავია?! გარეთ ნეტა, რა კივილია?“ —  
თითქმის ყოველდღე კითხულობს ცოლი.  
„არაფერია! მეგრელებმა დასტეს ერთმანეთს!“ —  
ვეუბნები და ფანჯრიდან უხედავ,  
როგორ მოდის  
ჯერ პოლიციის მანქანა  
და იქვე სასწრაფო.  
როგორ ჩამოჰყავთ ვიღაც ქვემოთ  
ნაცემი ან  
გულშემოყრილი...

III  
„ჩავთარიო ახლა ეს ძაღლი!“ —  
ვამბობ ჩემთვის,  
უფრო სწორად, თავს შევუძახებ,  
რადგან ამ ქარში,  
ამ სიბრძელეში  
სიკედილია  
ჩემთვის მინდორ-მინდორ სირბილი  
და ძაღლისათვის ადგილის ძებნა მოსასაქმებლად.  
ამ დროს ყველა ჩუმადაა,  
რაოგან ვარ:

„ჩავათრიო!“ —  
იმას ნიშნავს,  
რომ დაღლილი ვარ,  
წყიზზე გვიდივარ  
მეგრელებივით  
და, მტრისას, ჩემი აფეთქება,  
თუკი ავფეთქდა.  
მხოლოდ ჩემი ჰასკი მორბის სიხარულით  
და ხტუნვა-ხტუნვით,  
სულერთია, რომელ ოთახშიც გინდა იყოს,  
ამ დროს, როცა ამ სიტყვებს ვამბობ,  
ყველგან ესმის და  
ყველგან ახარებს ეს ჯადოსნური:  
ჩავიყანო,  
თუ ჩავათრიო!  
ნიუანსებს ის ყველაზე უკეთ მიხვდება,  
მაგრამ სულაც არ ადარდებს ეს განსხვავება.

რაკიდა იცის,  
რომ ამ სიტყვების შედეგი  
მისთვის  
მუდამ ერთია,  
განსხვავება კი —  
მხოლოდ ჩემში,  
მე გამომხატვს,  
ჩემს გუნდას თუ ჯანმრთელობას,  
რაც ძალლისთვის საინტერესო  
სულაც არ არის...  
ასე მგონია,  
მოიგონეს,  
რაც კი ძალლის სიყვარულსა და ერთგულებაზე  
გამიგონია.  
ძალლსაც მხოლოდ მაშინ უყვარხარ,  
როცა შენგან ხეირს მოელის,  
უანგარო სიყვარული? —  
სასაცილოა!  
მითუმეტეს,  
ძალლისაგან  
და ერთია კაციც და ძალლიც!  
მე მაინც ვეძებ გამართლებას,  
უფრო იდეალს:  
იქნება, ასე თავეერდა ამ ძალლის ჯიშია!  
მე დავამავე,  
რომ ავყევი თბილისურ მოდას,  
ჰასკის ლეკვი რომ მოვიყვანე,  
დავიდე ცოდვა,  
თორეგ მეუღლე მაფრთხილებდა:  
ვერ მოვუვლით და  
ძალლსაც და თავსაც  
სამუდამოდ გავინამებთო...  
არ დავუჯერე  
და ახლა, თუ დავინუწუნებ,  
ჰასუხად მუდამ მესმის:  
„მე ხომ გეუბნებოდი!“

IV

მე კი მინდოდა,  
მაშინ ჩემი მოზარდებისთვის  
ცხოველების სიყვარული მესწავლებინა.  
ბავშვების გამო მოყიყვანე  
სულ ორი კვირის ბომბორა ლეკვი.  
ერთი კახელი კარგი კაცისაგან  
400-იოდე ლარად ვიყიდე.  
როგორც მაშინ მეუბნებოდნენ,  
„მუქთად,  
საჩუქრად“...  
პატრონმა ლეკვი  
ერთ ნაციობ მღვდელს გამოატანა,  
რომლის მეუღლეც  
რაღაც მძიმე ოპერაციას იკეთებდა  
და მოძღვარმა  
შენაძენი  
სავადმოყოფოს შესასვლელში გადმომილოცა  
მუყაოს ყუთით.  
ასე მომყავდა  
ყუთიდან თავამოყოფილი,  
ძლივს მსუნთქავი,  
ალბათ მშეირი.  
და გზადაგზა  
ისე ძალიან მიყვარდებოდა,  
რომ დღეს უკვე  
მის გარეშე გაძლება მიჭირს.  
მაგრამ თვითონ ის  
საშინელი ეგოისტია.  
მოფერებას სულ იქით ითხოვს  
და სიყვარულს

v

დილაა.  
დაუსახლებელი მინდვრებისკენ  
მივარბენინებ  
ძაღლს, ჩვეულებრივ.  
ლტოლვილების კორპუსს ჩავცდები  
და შორს გავიყვან,  
რომ არავინ შევაწუხო,  
მაგრამ ძაღლი უცებ სწორედ  
ამ კორპუსისგან მოშორებით,  
მაგრამ სწორედ მის პირდაპირ  
იცუცქება  
და ხელს აღარ ვუშლი.  
ჩვენ წინ დელეა —  
ნაგვით, ათასი ხარახურით ამოვსებული,  
ეს ნაგვანი წყალში ტივტივებს.  
წყალი მომზანო-მოცისფროა  
და საშინელ სიმყრალეს აფრქვევს.  
ამ დროს კორპუსის აივანზე გამოდის კაცი.  
ლიპიანი,  
ნელსზემოთ ქველი,  
შარვალი კი აცვია გრძელი  
და ქამარში პისტოლეტი გაუჩრია —  
ძალოვანია!

„ძმაო, ერთი მომხედვე აქეთ! მაგ ძალს აქ წუ დააცუცება! მერე ისეთი ყროლის სუნი შემოდის სახლში, რომ ფანჯარას ვეღდარ ვაღებთ, იქით მაინც გაგეყვანა, შე კაი კაცო, ცოტა მოშორებით!“

ვბრაზდები, მაგრამ  
რას ვეტყვი!  
ფორმალურად ეს კაცი სავსებით მართალია!  
ამიტომაც ვებრძობიშები:  
მეტს ალარ ვიზამ-მეთქი და  
თან გაბრაზებული ვიყურები  
ლელეში ჩამდგარ ჭაობისაკენ,  
რომელიც  
მომწვანო-მოცისფრო  
თვალს მიკრავს  
და მეუბნება:

შინაგანი სიმართლე  
ყოველთვის მტყუანია ფორმალურ სიმართლესთან.  
კიდევ კარგი, თორებ აბა, ამ ადგილას  
მე ასე რა გამაფუფუნებდა!  
შენც ზუსტად იცი ეს ამბავი,  
თორებ მართლა მაგ ლიპიანისა და მისი ფიშტოსი  
ხომ არ გეშინია?!  
ბავშვიბიდან  
სათამაშო გგონია ყველა იარაღი!

**VI**  
გაიგსო ჩეენი ქალაქი  
შინიდან გამოძევებული ჰასკებით.  
ძნელია მათი მოვლა და  
ძალიან კარგად მესმის მათი პატრონების.  
მორალიც ვერ გავიგე,  
საერთოდ რა არის,  
რომ ახლა ავდგე და  
სხვაბის თავზე ვიკითხო ეს მორალი.  
ვერანაირ ურთიერთობას ველარავინ უძლებს  
და  
ერთმანეთს გაურბის.  
ძალი პატრონს ვერ ცნობს  
და ძალის პატრონი არ ეპიტრავება.

„მე კი მებრალება ტომასი,  
უნოა! უტყვი! უბედური!“ —  
ვეუბნები ჩემს ცოლს.  
„მე თუ მეტყველი ვარ,  
იმიტომაც არა ვარ ბედნიერი?!“ —  
მპასუხობს სარკაზმით  
და, არსებითად,  
მთელ ჩვენს ცხოვრებაზე ყვეპა,  
საიდნაც მეც სულ მინდა გაქცევა,  
მაგრამ სწორედ სიყვარულიდან  
ამოზრდილ წვრილმან მოვალეობებს  
ვერასდროს გავექეცი.

ჩეენი ჰასკი კი  
ისეთი ჯიშისაა,  
თუ გაგექცა,  
თავაწყვეტილი გარბის,  
უკან არასოდეს დაბრუნდება,  
თავისუფლების ძალია,  
სტეპის ნაშერი.

**VII**  
ლტოლვილების კორპუსში  
ცხოვრობს ერთი საოცარი ბიჭი.  
ახლა, დიდიხანია, ალარ შემხვედრია,  
არ ვიცი, სად არის.

ადრე,  
სანამ გზაზე პირისპირ შევეფეთებოდი,  
მისი ხმა მესმოდა,  
ხმა უდაბნოში მღალადებელივით.  
ვერ ვიგებდი, ქალის ხმა იყო ეს თუ მამაკაცის,  
რომელიც კიოდა:

„ახლოა თქვენი განკითხვის ქამი!  
უფლება!  
უფლება!  
სიცოცხლე!  
სიყვარული!  
აი, რა არის მთავარი!  
თქვენ სუყველას ესენი გჯობიან!“

მაშინ არ ვიცოდი,  
ვინ იყვნენ „ესენი“,  
ვიდრე, ერთხელაც,  
გზაზე პირისპირ არ შევეფეთე ამ ხმის პატრონს.  
გამხდარი, თმამოშვებული,  
ჭუჭყინ ტანსაცმელში ჩატმული ბიჭი იყო,  
უცნაურად კეპლუცი  
და გამომწვევი.  
გვერდით უნის მანანალა ძალების ჯარი  
მოპყვებოდა,

საბავშვო ეტლში ლეკვი ჩაეწვინა,  
მეორე ლეკვი, ჩვრებში გახვეული,  
გულზე აეტატებინა,  
ვითომ ძუძუს აწოვებდა  
და იავნანას უმღეროდა.

გვერდით რომ ჩამიარა,  
თვალები კეკლუცად ამიფახურა,  
ძუძუსთავი უხერხულად მოიმალა  
და, თითქოს მე მეუბნებაო,  
ჩაილაპარაკა:

„უფლება!  
უფლება!  
სიცოცხლე!  
სიყვარული!  
ყველა თქვენგანს გჯობიან ესენი!“

იმათ კი გვერდი მშვიდად ამიქციე  
და მთელი ხროვა გაზავდა ბორიაყში...

მაშინ ჩემთვის გავიფიქრე:  
ალბათ ეს არის ძალების ღვთისმშობელი!

**VIII**  
„უენო იმას ნიშნავს,  
რომ ეს ჩვენ გარეშე  
ვეღარ იარსებებს!  
შემშილით მოკვდება!  
სადმე დავარდება!“ —  
ვეკამათები ჩემს ცოლს,  
რომელიც ორაზროვანი ლიმილით შემომცეკრის.  
მე კი ძალს შევყურებ,  
რომელსაც ერთი სული აქვს,  
ღია კარი მოიხელოს,  
რომ  
უკანმოუხედავად გაიქცეს.

„უფლება!  
უფლება!  
სიცოცხლე!  
სიყვარული!“

და ვფიქრობ:  
სიყვარული  
ისაა,  
როცა ნება შენია და  
სადაც გინდა, იქით გაიქცევი  
კარიც ღიაა, —  
და მაინც არ გარბიხარ!  
ვინც გიყვარს,  
მუდამ იმის გვერდით რჩები  
და გულუბრყვილოდ გგონია,  
რომ მოკვდება შენ გარეშე.

აი, ეს არის ძალის ერთგულება,  
ძალის სიყვარული...

მაგრამ, თუ მოგინდა,  
მე არაფერს გაძალებ:  
გაიქცი,  
ტომას,  
გაიქცი!

**IX**  
დევნილების კორპუსთან  
პოლიციისა და სასწავლის მანქანები დგას.  
ისევ ვიღაც ჩამოჰყავთ საკაცით —

ნაცემი  
თუ გულშეღონებული...

\*\*\*  
თექვსმეტი წლის შემდეგ  
ისევ გავალ რუსთაველზე:  
ვიგოთხავ —  
აქეთ შავი ჯიშების ქარავანს ხომ არ ჩამოუვლია?

პატარა ბიჭი დამეკარგა,  
ფარაჯინი,  
ფიდი ბიჭია,  
დარჩენილი  
პატარა ბიჭად,  
ვინც აიძულეს,  
გაეთელა  
თავისი დროშა,  
მაგრამ  
სამშობლოს და  
ლირსებას  
არ დააბიჯა.

შავი ჯიშების შავმა წყალმა ჩამოიარა.  
თავი ამ წყალში დავიბანე  
დედაბერივით.  
და თბილისის შემღვრეული ცით გავიმშრალე,  
რომელიც ისე გაშლილიყო,  
როგორც ნერილი.

სადაც ენერა:  
ეს სამშობლოა  
და არ არის გზაჯვარედინი!  
არსად ნახვიდე,  
დარჩი იმის კალთა-უბეში,  
აქ შეიძლება მოკვდე, მაგრამ  
მშვიდად იყავი:  
სამაგიეროდ,  
არასოდეს დაიღუპები.

სმები დაირჩა,  
რომ ამაღამ ანძას ბომბავენ.  
მე ზუსტად ანძის ძირში ვცხოვრობ  
და თუკა ანძას  
ცეცხლი გაუჩინდა,  
მეც მოკვდები,  
როგორც ქალაქი,  
ჩავეხუტები  
ულონობის  
მხურვალე ხანდარს.  
ჯაპების შავი წყალი მოდის,  
კვამში და ცეცხლში  
სხვა ველარაფერს ვეღარ ვხედავ,  
კარი ირევა,  
მოდით, აქ ყრია  
ჩემი ნაცრად ქცეული ძვლები,  
რომელიც ყელში  
სასიკედილოდ გაგეჩირებათ —  
ლარწულად მოსულ ურდოსაც  
და მშიშარა გამცემთ,  
შავი ჯიშებით მოჯირითე  
ათას ნაბიჭვარს...

იმ დიდმა ბიჭმა  
სამშობლოს ხომ,  
ვით დახრილ დროშას,  
მოკლეს...  
მოკვდა და...  
ფეხი მაინც არ დააბიჯა!

## განსაცდელიდან

ჩვენ, ღმერთო, ერთად  
ეს წყვდიადი გამოვიარეთ  
და შენ ახლაც ჩემთან იყავი,  
ჩემი მაჯა გეჭირა ხელში  
და მამხნევებდი:

ნუ გეშინია!  
სიკედილი არ არსებობს, სადაც  
სიცოცხლეში  
მხრებები მშენებივება!  
აღმოსავლეთში ჩახვალ:  
ოქროს,  
გუნდრუქს  
და მურს წაიღებ,  
სხიეს წამოიყვან,  
უკან,

ჯამრთელს,  
ნათელთვალებას,  
თვალებს, რომელთა სიმწვანეშიც  
შენთვის ახალი გაზაფხულები,  
ახლა  
იმ ნისლში,

გაუკვალავი თოვლივით რომ  
გაკრავს ყელამდე,

როგორც რძეში და აიაზმაში,

იბანავებენ

და

ამოვლენ ტანშეუმშრალი

სასისარულოდ,

არ მისებო უკან,

ნარსულს ნუ გაიხსენებ

ნურც შენ,

ამ ლექსის

ნაღვლიანო

ბოლო სტრიქონო,

გახსოვდეს შუქი,

მაგრამ მისი წყარო —

ის მაჯა,

შენს ხელში,

როგორც

თრიმლის ტოტი,

არ მიოგონო!

მოვდივარ შენკან,

სიცოცხლისენ,

ნეტა რა მომაქსე,

როცა ამ ქვექანად

გუნდრუკიც და

ოქროც სხვისია.

შენ მაინც მიცნობ,

მერე რა, თუ

შუბლზე,

სახეზე

გამოვლილ ჭირთა

ჩაუმქრალი

მური მისვია.





## არ გაგვიგია

— გაიგე, თურმე წუხელ მომკვდარა!  
თურმე გული გახერქვია,  
ამდენ სიცრუეს, ცილისნამებას ვეღარ გაუძლო!  
— უი, რას ამბობ,  
ჩვენ არაფერი არ გაგვიგია:

— არა, ისე, ერთხელ მეცა ვთქვი,  
სხვები ამბობდნენ და მეც კვერი დავუკარი:  
აბა, ისეთს რასა წერს-მეთქი,  
მაგრამ გულთან ასე ახლოს თუ მიიტანდა,  
რას ვიფიქრებდა!

არა, მათ, მე არაფერი არ გამიგია...

— გაიგე, წუხელ მომკვდარა თურმე!  
ვიღაცამ თქვა,  
ერთმა მასზე რაღაც დაწერა,  
სიცრუე შეთხბა  
და იმ სიცრუით  
სულ ნამდგოლად აბურთავა  
უბრალო კაცი...  
ამის გამოო...  
— ჰო, ეგ მეც ვიცი!  
კი ვერ გავიგე,  
რას ერჩოდნენ,  
მაგრამ ვიფიქრე,  
რადგან ამდენი ხალხი ლანძლავს,  
ესე იგი, დამნაშავეა,  
მეც რაღაცა გავიხსენე  
უსიამოვნო,  
მაგრამ, აბა, რას ვიფიქრებდი?  
მასზე ცუდი არასოდეს არ გამიგია!

— გაიგე, თურმე წუხელ მომკვდარა?  
მარტო უნახავთ დილით საწოლში თავნამხობილი.  
სიკვიდოლის ნამსაც არავინ არ ჰყოლია გვერდით.  
— არადა, რამდენ რამეს ამბობდნენ,  
რამდენ ვინმეზე აბრალებდნენ,  
თურმე ჰყვარობსო.  
კი არ ვიცოდი, მავამ ასე, სხვების სიტყვები,  
ვიცის სხვებთან მეც რამდენჯერ გავიმეორე.  
თურმე იგი ამის და ამის საყვარელია.  
განა ვინმესთან დამინახავს,  
ისე, ჰაერზე, ვლაპარაკობდი,  
სინამდვილეში არაფერიც არ გამიგია.

საშინელია სხვისი განსჯა,  
თითქოს ვეგება ლოდებს იწყობ უბეში, ხიდზე,  
სანამ იქიდან მდინარეში გადახტებოდე.

ტალახიანი მდინარე მოდის...  
ცილისნამების ზვირთებს მოარხევს,  
როგორც ბოზი ქალის ძუძუებს,  
ათასი ურცხვი და უხამსი ენით გალოკილს...

— გაიგე, წუხელ მოვკალით იგი.

რას ამბობ, ძმაო?  
რა მკვლელობა,  
დანა ისე რბილად გაერჭო,  
ისე უბრალოდ შესრიალდა  
იმის გულ-მკერდში...  
რისი მკვლელობა?  
არაფერიც არ გაგვიგია!

## ცირკი საშუალო

დამესიზმრა  
ჩემი ბავშვობის

გიორგი  
ლობუანიძე

ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება:  
მოხეტიალე ცირკი ხაშურში...

ჩამოვიდოდნენ საიდანლაც,  
კარავიგით დასცემდნენ ხოლმე  
ვებერთელა კასრის ფორმის  
მრგვალ არენას,  
და ამ სივრცეში  
წრეზე კაცი მოძრაობდა  
მოტოციკლეტით.  
კასრის ფსკერიდან იწყებდა და  
ბზრიალ  
ტრიალით  
სულ პირამდე ამოდიოდა,  
ისე, რომ  
ძირს არ ვარდებოდა.  
ხანდახან კი  
მოტოციკლეტს ხელსაც უშვებდა,  
განზე შელიდა მელავებს  
და ჩვენ შემოგვლიმოდა...

გამახსენდა,  
თუ რამდენჯერ მიოცნებია  
ამ ცირკათან ერთად გაპარვაზე და  
ხელიალზე,  
რომ ჩემთვის ის ილეთები ესწავლებინათ,  
მოტოციკლეტით  
იმ ჯაღოსნეურ წრეზე ტრიალი...  
რათა როცა გავიზრდებოდა,  
დაგბრუნებოდი მშობლიურ ქალაქს,  
მოტოციკლეტზე,  
როგორც ჯვარზე  
ხელებგაშლილი...  
მაყურებლებში  
ჩემინანებს ამოვეცანი  
და ეყვირათ:  
შენა ხარ, ბიჭი?!  
დაგვიბრუნდიო?!

ეს სიზმარი,  
რა თქმა უნდა,  
ცოლს მოვუყევი,  
ჩემს ქალაქში,  
ჩემზე  
რვა-ათი წლის შემდეგ გაზრდილს,  
მითხრა:  
არასდროს  
მე ეგ ცირკი იქ არ მინახავს...  
ან ჩამოვარდა და დაიმტვრა ის აკრობატი,  
ანდა მაშინაც  
დაგესიზმრა  
ეგ ყველაფერი!

\*\*\*  
ნეტავ, ვინ იყო,  
ვინც მე დამესიზმრა:  
ანგელოზი თუ მერცხალი,  
რომელმაც გაზაფხული მოიყვანა? —  
ფრთაშესხმულს ამარბენინა  
მთელი რვა სართული,  
რომ იქ, წითელფარდებიან ოთახში,  
უკეთესად შემეგრძნო  
ჩემი მარტოობა...

გულგახეთქილი მერცხალი  
გულალმა წევს  
ამხელა გაზაფხულში  
და  
თეთრ ქათიბზე  
ანგიმს...

## საით?

ქვეყნის ტალაში თავის ხიბლი მას  
ცის უსასრულო წყალობად აწვიმს  
და მაინც ნეტავ, საით მიფრინავს  
საკუთარ ფრთებზე ჯვარცმული კაცი.

## გვეპი

მაშინ, როცა ქვებმა ენა ამოიდგეს  
და მითხრეს:

„დადუმდი!“ —

ჰაერში

ჩამოგდებული თვითმიზრინავები ლივლივებდნენ  
მითური ფასკუნჯებივით,  
წრეებს ურტყამდნენ  
და კონკრეტული აწმყოდან  
ინაცვლებდნენ  
გაურკვეველ მარადისობაში.

ასე

ქრებიან

რადარებიდან

ადამიანებიც...

კატასტროფაა,  
როცა უკვე აღარ გიპასუხებ...

საშველადაც რომ აღარ მოგიხმობ,

გამისხენე:

შენი სხეულიდან

სულივით ამოსული,

თვალი გამაყოლე

და სანამ მზერას

ერთ გაქავებულ წერტილს გაუშტერებ

და შენ მაგიერ

ქვები,

ქვები

ილაპარაკებუნ

ისიც მოიგონე,

ცხოვრებაზე ერთად

რამდენს ვიცინოდით...

\*\*\*

— კლიმაქსის შემდეგ

ცხოვრების გჯერათ?!

— იკითხა ქალმა და

რადაცნაირად გაიღმა

შუა ავტობუსში.

## ნატოს

მკენკონ მტრედებმა,

როგორც ხორბალი

დედამიწის

ნინგანვდილი

ხელისგულიდან.

თეთრი თუთების სეზონია:

ძირს მადლივით ეფინება

და შვავივით ჩამოდის

თუთა,

ისრისება და იზილება

გამვლელთა ფეხებეშ

ამდენი მადლი.

პატარა გოგოს ლილინი ისმის,  
ბავშვობაში თავის თოჯინას რომ აძინებდა,  
სანამ ღილინი

შვილმკედარი დედის იავნანად

გადაქცეოდა.

სახარებაში

შენ ხომ წყალი აქციე ღვინოდ,

მაგრამ წყლის ცრემლად ქცევაც

ძალგიძეს,

ლილინის მოთქმად

ქცევაც ძალგიძეს,

გოგოს წაქცევაც,

რომ მერე ფეხზე

შვილმკედარ დედად წამოაყნო!

ხედავ?

გოგო

როგორ ბარბაცებს

სიარულისას,

როგორც ლოცვა,

ბაგებაზე ნამოხეთქილი,

რომ ვერ გაიგებ,

ლოცვაა თუ საყვედურია —

გაუმჯვირვალე

ახლადამომსკდარ ნაკადულივით,

მერე და

მერე,

დინებისას რომ იწმინდება...



## ქეთი გაბინაშვილი

၃၁၁

დედაქამბა დიდი დუმილი იცოდა.  
მძულდა ის მუნჯი დღეები,  
რადგან ვიცოდი, იმ უსიტყვობისას  
რაღაც დაუყუჩარი სტკიოდა.

მინდოდა, არასოდეს გაჩუმებულიყო,  
მინდოდა: ეყვირა, ჩამოენგრია კედლები,  
რომელიც მის სათემელს აპატიმრებდა,  
დაემსხვრია მინები, შეელენა ყველა კარი  
და მისი ხმა მოსდებოდა სოფელს,  
შეეღწია ქალაქის მაღალსართულიან სახლებში და  
ნისლივით მოსდებოდა მთებშა...  
მინდოდა, ყველა ტკივილი ემშობიარა იმ ყვირილისას  
და ევლო მერე დამსუბუქებულს, ლაღსა და ლიმილიანს.

ის ს დაუმდა.  
დაყუდებული პერის სიჯიუტით  
დგებოდა ყოველ დილას და  
გაზეპირებული ლოცვასავით იმეორებდა გასულ დღეს.  
მაგრამ ჩევნი სახლი არაფრით ჰეგვდა ეკლესიას  
და მე ტკივილამდე მძღლდა ის დუმილი.

გაჭირვებით ვყლაპავდი დაუღვრეს ცრემლს და  
ვბრაზობდი ბავშვური ბრაზით,  
ყურებს მტკენდა ამ დუმილის ხმაური  
და მჯეროდა:  
დაგონგრევდი ყველა სამანს,  
ყურებიდან მოვაცილებდი ხელისგულებს ყველა კაცს  
და ვაიძულებდი სამყაროს, ჩემთვის მოესმინა!  
ყველას, ყველას გავაგონებდი ჩემს ხმას...

მაგრამ ახლა მე ვდუმვარ.  
ამომიყერეს თითქოს პირი და  
საკუთარ თავსაც კი ვეღარ ვაგონებ სიტყვას.  
ახლა ჩემთან დგას დუმილი  
და არ შემიძლია ხმის ამოლება,  
რადგან სამყაროში ჯერ არ მოუგონიათ სიტყვები,  
რომელიც ჩემს ტკივილს იტყვის.  
ახლა მე ვდუმვარ  
და ორმაგად მტკივა — დედჩემის დუმილის მესმის.  
და ვხვდები —  
გავზრდილვარ,  
ჩემი ბავშვობა დასრულდა თითქოს.

၁၁၅

„როგორ ხარ, მამა?“  
„ვარ მთასავით, მე რა დამაქცევს?!“—  
ვამბობ და ვმალავ ჩამორთოვლილ წლებს და ღამეებს,  
ძებერი გულის გადარჩენის რომ აღარ მნამდა.  
ვმალავ დაკოურილ ხელებს, ძალა რომ აღარ შერჩათ,  
რომ კანკალებენ, თითქოს ქარში მოჰყვნენ ხეები.  
ვმალავ, მუხლებს რომ აღარ ვანდობ  
ჩემს სულის პერანგს,  
ვმალავ, უქბილო პირით ჭამა რომ აღარ ძალმიძს.  
ვმალავ, რომ სკამზე კვლავ ჰკიდია დედის ხალათი,  
რომ ჯოლზე ვითენ რაბ-თამობით და ისე მძინავ.

ვმალავ, რომ გუშინ წამაქცია ტიალმა dროხამ  
და როდის-როდის გაჭირვებით ავნიე ხორცი.  
ვმალავ, რომ  
ლეინო ალარა დგას სტელისძველ ჭურში,  
მინა გაბერნდა, ვაზი გახმა, ინგრევა კერა.  
ვმალავ, რომ ქარმა დაამტვრია იმ დღეს კრამიტი,  
რომ იატაკის ფიცრებიც დალპა...  
ვმალავ, რომ ჩინი მეეარგება,  
ვკარგავ ფერებს, ვკარგავ სახებებს...  
ან დასანახი რალაი დარჩა?..  
„როგორ ხარ, მამა?“  
„ვარ მთასავით! მთასავით ვდეგავარ!“ —  
და არ კი ვამბობ, რომ მარტობის წლები გულში  
წვიმასავით მოდის და მალბობს,  
და რომ მეწყერი იციან მთებმა...  
და ვგრძნობ, რომ სული სულ ცოტაც და  
მოსწყდება სხეულს...  
„როგორ ხარ, მამა?“  
„ვარ მთასავით!“  
„უჰ, დავსავენე, გაცხონა ღმერთმა!  
დამეძინება ამაღალამ მშვიდად! მიყვარხარ, მამა

მიყვარხარ, მა-მა...  
რა მარტივია სიყვარული  
ათასობით კილომეტრს მიღმა...  
რა ადვილია და რა რთულია სიყვარული,  
ბებურო მთებო...

ပုဂ္ဂန်

ცხელი შოთის სუნი აქვს შიმშილს.  
ვწერარ ასფალტზე და ვფიქრობ  
იმ შორეულ მთებსა და მწვანე ბალახზე —  
რაღაც ნათელზე,  
რაც ჯერ ისევ შემორჩია ხსოვნას.

უბის ბაგშევებმა ეკლიანი მავთულით მცემეს,  
მტკიცა ბებერი სხეული.  
ვწევარ და ვფიქრობ:

ბუზი მეხვევა ჭრილობაზე,  
იმ კუდზე ვიქირობ,  
ომერთმა თუ უწყის. რისთვის რომ მომჭრის

მტკიცა ბებერი სხეული,  
ვწევარ და ვფიქრობ.  
  
ქუჩას, რომელსაც სირცხვილივით ამჩნევია  
ჩემივე სისხლი,  
გოგონა მოჰყავს —  
პატარა გოგო.  
„გამოდი, შეიღო, არ გიცბინოს!“ —  
აფრთხილებს დედა.

იმ ბალახის ფერი თვალები,  
მე რომ ჯერ ისევ მახსოვეს, შიშისგან უფართოვდება  
და ტირილით ეკვრება დედას.

მე არ მსურდა მისი დაფრთხობა,  
მე უბრალოდ მინდოდა, მეტქვა:  
„გამოდი, შვილო, ადამიანი!“ — და ამებსნა,  
რომ ყველა შიშს მხოლოდ კაცის სახელი ერქვა.

მაგრამ ჩემთვის არ უსწავლებიათ სიტყვები.

მტკიცა ბებერი სხეული,  
ვწევარ და ვფიქრობ,  
რა უსამართლოა ზოგჯერ  
                        ეს დედაატირებული სიცოცხლე.

კაცი რომ ვიყო, ახლა კარგად გამოვთვრებოდი —  
მტკიცა ბებერი სხეული,  
ვწევარ და ვფიქრობ.

፳፻፭፻

ალისა, მალისა...  
დაელოდები სავსე მთვარეს,  
აიღებ ყვავის ქონს, სვავის ფრთის ბუმბულს,  
გადაივლი ცხრა მთას,  
ბოლო ხის ძირას მოთხრი ფესვებს...

ვერაფერიც ვერ დამაკლო ჯადომ!

შენუებდა მანყევარი.  
იკითხა,  
    სე ხომ იდგაო ნამდვილად ცხრა მთას გადაღმა?  
ყვავი ხომ იყოო შვიდასი წლის?  
სვავი თუ იყოო ლეშით გამაძლარი?  
დახედა თავისი ძვლადქცეულ თითებს,  
არძინი შავ თრჩხილიბს?..

დაეჭვდა:  
ხომ არ დამეკარგაო ძალა ბოროტების?!  
ახადა თავი ტებიასეულ ზარდაბშას,  
იქექა, იქექა და მიაგნო სარკეს.  
ჰეითხა: სარკევ, სარკევ, მითხარი...  
არ გასცა პასუხი სარკემ.  
დადარდიანდა მაწყევარი.  
ჩაწვა საწოლში. დაიფარა თავისი გრძელი ნაწნავები  
გადაბრუნდა კედლისკენ,  
დახუჭა ამოთეთრებული თვალები,  
მარტო იღვი აძნა თა ინტოვინა.


ვუთვალთვალე მის უძილო ღამეებს,  
მეც დავკარგე მოსვენება, შემეცოდა საბრალო.  
ჩავიცვი რკინის ქალამწები,  
გავიარე სიკვდილის კარიბჭე,  
გავძვერი ობობას ქსელის გვირაბში,  
გადაურჩა ჩემი თვალები სვავის ნისკარტს,  
შევალე კარი, მხარაქცევით გავიარე  
მტვერდადგბული სანამლავების თაროებთან,  
ჩამოვუჯექი სანოლზე და ვუთხარი:  
ადექი-მეთქი, მანყვევარო,  
გამოიბი კუდი და განაგრძე შენი ჯადოსნობა!  
არ დაუკარგავს ძალა შენს წყევლას...  
უბრალოდ მე ვერაფერს დამაკლებდა,  
ვერ მომერეოდა შენი ჯადო,  
რადგან ჩემთვის რისი წართმევაც სთხოვე,  
არაფერი გამაჩნდა.  
დაგაგვიანდა...  
ალარაორი ამაჩნდა ამ აის ქაშითში

50480

შუაღამეა, სათითაოდ ვიცლი ნიღბებს  
გველის ტყავივით...  
ეს ლიმიტების, სიხარულის, მადლობის, რწმენის,  
იმის, რომ მიყვარს, მენატრეპა, რომ მახსოვოს კვლავაც...  
ეს თანაგრძნობის, ეს ტკივილის, ბრაზის და რისხვის...  
შუაღამეა, ფენა-ფენა ვიცლი ნიღბებს  
და ვრჩები მარტო, ისე მარტო,  
საკუთარი თავიც კი არ მყავს.  
და ვგრძნობ ყველაზე დიდ სატკივარს —  
ვერაფერს ვერ ვგრძნობ.  
დაგსრულოთ ალბათ...

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ

ბომაბრუნებენ უკან, ვიცი, შენი თვალები,  
ბრონეულები გასკდებიან მღელვარე მკერდში,  
მჯერა, ამ დამესა ყველა სიტყვას გადავაფასებ  
და ერთ კოცნაში დარჩენილ წლებს თამშად გავცელი.  
შემომხედავენ იჭვნეულად, ალბათ, ატმები,  
გაზაფხულები დამიგებენ გზაზე კაკანათს,  
ზამთრის დამეებს, ვიცი, მაინც შევგებრძოლები  
და შუალამეს სიზმრის მძივებს შენთვის ავასხამ.  
ნუ შემხსენებ, ისეც კარგად მახსოვეს ასაკი,  
მაგრამ სიყვარულს ვერ აქარვებს თმაში ჭალარა,  
შენი ხელები — მობობოქრე თეთრი ფშატები —  
ჩემი მხრებიდან ჩამოთთვლილ აირქობს გათანატავს.



## მურად მთვარელიძე დაცემის ცხრა ნეტარეპა

ნინათქმა

ამაღლებამდე უნდა დაეცე  
სულით და ხორცით, ხორცით და სულით  
და შინაგან ხმას — ჩუმს და საოცარს —  
მიუგდო ყური,  
რომ როგორც სოლი  
ჩააპობს მორს და გახლეჩს უმალ,  
ისე შეებას გულის ფიქრს შეშლილს.  
ეს გული — ერთ დროს ჭინი და სალი  
რომ არ თქვა მერე — ვერაფრით ვერ ვშლი  
ფრთხებს, რომ ზეცისკენ გაფრინდეს სული  
და დაეფინოს მინას ვით სელი,  
ან აყვავილდეს, ვით მარტის ველი.

ამაღლებამდე უნდა ითმინო,  
უნდა მზეს სდიო, რომლის სხივებიც  
ჰყავანან პატრუქის დამშრალ ფითილებს,  
ანდა სახლების ბებერ სხვენებზე  
ამოალაგო წვიმების სევდა,  
რაც მათ ოდესმე იმ სხვენს გაანდეს.  
სვენებ-სვენებით უნდა აკმედე  
სულის სინათლის მიმქრალ გუჯარებს,  
წიგნებს, ქაღალდებს...  
გათენებამდე გაენდო ღრუბლებს,  
შენ, მოლაციც თაფლის სანთელო,  
რომ დაცემული სულის ჯურდმული  
იქნებ როგორმე გამოათენო.

**1**  
ნეტარ იყვნენ გლახაუნი სულითა,  
რამეთუ მათი არს სასულეველი ცათა.

გლახაკად ყოფნას ვნატრობდი მუდამ,  
მაგრამ ვერასდროს ვერ ვიგლახაკე  
და რამდენჯერაც ავშალე ბუდე,  
დავტოვე ჩემი მცირე სახლაკი,  
იმდენჯერ მძლია სულმა მაცდურმა,  
უძღები უინო ამივსო უბე  
და ვტორტმანებდი როგორც საცერი  
გამცრელის ხელში ან როგორც გუბე  
ქარში და ვიყავ ასე ეული,  
ასე მერყვევი, ამაყი, ფლიდი,  
მე ხომ ცხოვებამ დამასწერულა,  
მე ხომ ამ სოფლის დიდებას ვთვლიდი  
ყველაზე მთავარ გზად და ცხონებად  
და არ ეცოდი, რა იყო ნაღდი,  
მე დაბენული ერთი ცხოვარი  
ფარის დაკარგულ იმ ცხოვარს ვგავდი,  
რომელსაც გულით ეძებდა მწყემსი,  
ეძებდა, მაგრამ რომ ვერ ეპოვა,  
ამ წუთისოფლის თაფლიც და გესლიც  
მტანჯავდა ეულს, უნდოს, უპოვარს.  
მერე კარგა ხანს ვიარე ასე,  
მე დაცემული ვეტრფოდი ფრთოსნებს,  
ფრთხი რომ ჰქონდათ როგორც ალმასი  
ზეცის გამცემით და როგორც მოსე  
ერკინებოდა გათენებამდე  
უფლის ანგელოზს, მებრძოლს და უტეხს  
და ისე, როგორც უფალს ნებავდა,  
გათენებისას სამყარო უტყვი  
უცებ ამდერდა და აიშალა...  
ირგვლივ ყველაფერს ეფინა მადლი...  
მე ვბრუნდებოდი უკან ფეხშველი,  
მაგრამ მაღალი სულით და ადლით.

**2**  
ნეტარ იყვნენ მცდოვარენი გულითა,  
რამეთუ იგინი ნუგებინისცემული იქმნენ.

ქაღლება გზებზე ვიხეტიალე,  
გამოვექცი ბაბილონის გოდლის მშენებლებს

და ჩემი სულის დამამშვენებლად  
დაცემის წუთი არაერთგზის ვიმებ ტიალი.  
ნილოსის კალთებს ვატანდი ფიქრებს,  
ფაფარს ვუწნავდი მენამულ ზღვის ტალღათ ულაყებს,  
ვიგერიებდი ქარების ქირქილს,  
უდაბნოს ქარებს უბები გამოვულაყე.  
და იქ, სადაც მზე ჩადიოდა, სისხლის მდინარის  
ჩქერალებს ვსავამდი და ვანკობდი და ვნადიმობდი  
ტანზე მირონი ჩამდიოდა და უჩინარი  
სინათლით სავსე ვნების ალავერდს  
თვით ტიგროსთან გადავდიოდა...  
ირგვლივ კი იდგა სისხლის სუნი და ოხშივარი  
ცხელი სისხლის და ტვინის —  
ერთად გადაზელილის,  
ვიდექი სისხლის მდინარეში, როგორც ჩინარი  
დგას ხოლმე ველზე  
და ხმლის ვადაზე ლალი  
ბრწყინვავდა როგორც სისხლის ღმერთი ანდა  
სულაც ქალმერთი  
და იქ, სადაც სულს  
კაეშანი უნდა შვენოდეს,  
ვიყავ მღიმარი, მხიარული, რადგან არცერთი  
ტკივილის ბარტყიც არსად ჩანდა,  
მერე შენ რდეს  
გამოიღიძე, იმთავითვე ვიგრძენ, რომ სულმა  
ზველი სილალის სარეველა უცებ გაცელა  
და მე ვერ შევძელ მგლოგიარის მცმოდა სუდარა,  
რომ არ მეგემა სულით დაცემა.

**3**  
ნეტარ იყვნენ მშვიდინი,  
რამეთუ მათ დაიმკიდრონ ქვეყანა.

სიმშვიდე ჩემში იმთავითვე მკვდრად იშვა, რადგან  
არეულმა ცამ გადამიხსნა გულის ფიცარი,  
და რადგან თავზე მუდამ შლეგის გვირგვინი მედგა,  
ჩემ წინ იდექი, მაგრამ მაინც ვერ შეგიცანი.  
არეულ ფიქრებს არ ჰყონიდათ არც მნვერვალები,  
არც ველ-მზიდვერები — ხისლიანი დილის აკვნები,  
და ამიტომაც დამაშრულ სულს მნველი ალებით  
გულში იკავდენენ მაბეზღარა იყენენი.  
მახსოვს, მითხარი: — სიმშვიდე ყოფისა ანანი,  
მე ანაბარი ვერ გიბოძე მშვიდო ზღაპრების,  
ერთად ავრიე ყველა დროის შლეგი ამბავი  
და მედგა უამი მუდამ უამთა ამოლამპრების,  
ოღონდ იმ შუქში მეტი იყო ქავთა რიალი,  
ვიდრე სიმშვიდის ათინათის ნაზი ბანცალი  
და ბზრიალებდა ჩემ გარშემო ცეცხლი ბრიალი,  
ჩემივე ყოფა —  
თან სულ წყვილი, მაგრამ თან ცალი...  
ქარმა წაილო ბაბილონის გოდლის ყველა ქვა,  
უშმამა ატირა მერე ბალი გეთსემანის,  
მიუყვებოდი შენ აღვსილი ცოდვის ფილაქნს  
და ვერ შენიშვნე, ივე ახლოს, გვერდით ვანი ის,  
სადაც შეექლიოთ, მუხლისთავებს მინა ეკოცნათ,  
სადაც შეეგძლო, ცის ბილიკი ნათლად გეხილა,  
რატომ დაეცი — სულს არასდროს არ გაეოცა,  
რატომ დააჭკენ მოყვავილე სულის ხეხილი?  
რა ვიან ვეხედავ: აქვე ახლოს უფლის კარია,  
უფლის კარის წინ გესლიანი ცოდვის ნარია,  
ვერ გადავდივარ, მე უგნური და მოტეხილი,  
ნეტარ არიან მშვიდინი, მართლაც ნეტარ არიან.

**4**  
ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და  
სწყუროდეს სიმართლისათვის,  
რამეთუ იგინი განსძღვენ.

ის, რაც სიმართლე მეგონა მე,  
თურმე სიცრუეს ზღვა ყოფილა,  
ვერ გოლულობდი, რადგან ეს რნემენა  
სულ არ ჰგავდა იმ შენს სიმართლეს,

რომლის გულისთვის მევლო მშიერს,  
მწყურვალს და შიშველს,  
სხვისთვის მელოცა, გავგებოდი ფეხეცვეშ იმათვე.  
და ამიტომაც რაკი ჩემი მქონდა სიმართლე,  
რომელიც არა, არა ჰგავდა შენსას სრულიად,  
ვერ ვინეტარე, ვერ ვიხილე მე ის სინათლე,  
რომლის წიაღისული ალბათ მხოლოდ ერთ-ორს უვლია.  
ვერ დაგაბურე სული, გული, რადგან არასდროს,  
არ მშიებია შენი მზე და არც მწყურებია,  
და ამიტომაც ჩემ გარშემო არცოთ მზე ნათობს,  
ირგვლივ ხეც არ დგას და მხოლოდდა მწყურებია.  
ხროვში ვდგავარ, უმზეოა თუმც ეს ხრიოვა,  
მინაზე ვდგავარ, თუმც ეს მინა ვგრძნობ, რომ ბერნია  
და არსად არ ჩანს თუმც მცირედი ნათლის დიობი,  
ქარებს ღრუბლები იმდაგვარად აუწენა,  
რომ უმოწალო ქარიშალიც კი ვერ გადაყრის,  
ვერ დაალაგებს ვერც ივისის ნელი ნიავი,  
ველარ გავიგე, რად ვერ ვალებ ჩემ წინ ალაყაფს,  
მაშინ როგესაც ჯურდმულების კარი ლიანი  
მიწვევნ თვისეკენ, სადაც არ მსურს, იქ მსახვევ გმირად  
და სადაც მინდა, იქ არასდროს რად არ მიმართლებს,  
და მივხვდი, მივხვდი ამ ცხოვრების დაისის პირად,  
ვინც შენ გიხილავს,

**5**  
ნეტარ იყვნენ მოწყალენი,  
რამეთუ იგინი შეიწყალენ.

რა მოწყალეა დედამიწა, ყველას ღებულობს,  
რა უგულოა დედამიწა, ღებულობს ყველას,  
მაქეს სასაიათი წინაპრისგან წამოლებული,  
რომელსაც, რა ვქნა, ვცდილობ,  
მაგრამ ვერაფრით ვშველი.  
ისე მძიმეა, ისე უშინო და უხეირო  
და უმოწყალო, ზოგჯერ მაინც განსაკუთრებით,  
და მიუყუყები, მიუყუყები ქართა ხეივანს,  
რომელსაც, ვინ უწყს, ხვალ რა სახელს მიაკუთვნებენ.  
არ შემიწყალა ამ ავარ დრომ, არ შემიწყალა,  
მე, ვისაც მსურდა ქარიშებში მქონობა ბინა,  
და რადგან ერთ დრო  
ერთადერთმა — ზეცამ მინამლა,  
მეც ავდექი და ცას შევეკარ, მას ვუთხარ ბანი.  
იქიდან ვტერუტდი ამეცეყნიურ ნეტარ ნატურებს,  
რომ თვალთმაცეცობდნენ,  
თამაშობდნენ სულ სხვა ნილბებით,  
სინამდვილეში ვითომ იყვნენ უფლის ნატრული,  
ქამელეონი — ნაში სამი სახის მიმღები.  
მათ უწოდებდი შენ მოწყალეს, რადგან ხედავდი  
მას, რასაც შენდა დასანახად იქმოდნენ მხოლოდ,  
გაბრუნებოდნენ სულ სხვა სახით იქვე, ხელდახელ,  
აჩენდნენ სახეს, ბოროტ სახეს და ბოროტ ხელებს.  
ვინ არს მოწყალე? — ვეკითხები მე საკუთარ თავს  
და ვგრძნობ რომ თვალებს,  
სახეს ჩემსას შენი წყალი პბანს,  
მე — ვისაც გულში მიყვავილებს ნერგი სიკეთის,  
ვერა მხედავდი და, აბა, ვით შემიწყალებდი?!

**6**  
ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა,  
რამეთუ მათ ღმერთი იხილო.

ზამთრის ქარი ქრის უდაბნოში, ავი, ბოროტი,  
სახეში მცემს და მოყვავილე ფიქრებს მიცელავს,  
და ვგავარ ვინმე ფილოსოფიას, გრძეულ ორატორს,  
ვინმე უჩინარს, ვინმე ბედერულს ან ცრუ ციცერონს.  
უდაბნოს ქარებს გარიდებულ იაზისებში  
სძინავთ ცნენებებს, სძინავთ ლოცვებს,  
სძინავთ მირაჟებს, და მირაჟი მირაჟი მირაჟი,  
და წინდა გულის სევდით მირაჟი მირაჟი  
და მირაჟი მირაჟი მირაჟი მირაჟი.  
და წინდა გულის სევდით მირაჟი მირაჟი  
და მირაჟი მირაჟი მირაჟი მირაჟი  
და მირ

ხოლო ტყეები გაზაფხულზე ფიქრობდნენ ისევ  
და ნიავების ამოოხვრით გულს იჯერებდნენ,  
თებერვლის წერიალს ღამეები ახმოვანებდნენ,  
ხოლო მშვიდობის მშენფელ მინდვრებს  
ნაადგებოდნენ თავზე ქშენით  
ღამის ჩრდილები — მთელი თავისი ახოვანებით.  
და მშვიდი იყო თითქოს სამყარო თავისი სევდით,  
ტკივილებით, ცოდვა-პრალებით,  
ხოლო მდინარის ტალღის ბროლები  
ემსხვრეოდნენ ხავსიან ლოდებს  
და ზამთრის ბლონდებს გამოქცეულნი  
რაკა-რუკით თავქვე გარბოდნენ...  
მშვიდი იყო თითქოს ქვეყანა,  
მე კი ბობიქარს, მშვითვარეს და მუდამ ბუზბუნას  
მეგონა, რომ ჩემს სიმართლეში ღმერთი ცხოვრობდა.  
ზღურბლზე ვიდეექი ნირნამზდარი და აფუზული,  
რადგან ჯერაც ვერ მივმხვდარიყავ, რა იყო კარგი  
სიმშვიდეში, რომელსაც უნდა ხეტარება ებოძებინა.  
ვერა, ვერ შევძელ, რომ ძედ ღვთისად გწოდებულიყავ,  
რადგან მაშინაც კი, როდესაც მშვიდად ვიყავი,  
სულსა და გულში ქარიშხალი მიტრიალებდა.

**8**  
ნეტიარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის,  
რამეთუ მათი არს სასუფლევლი ცათა.

ვერ ვეზიარე შენს სიმართლეს და შენს კანონებს, რადგან ისინი ხშირად მხოლოდ უსტარს ართობენ, და შენს წიგნებში მიმობნეულ კანიონთ კანიონს ძალიან ხშირად ერქვა ხოლმე უსამართლობა... მე კი მეგონა, რასაც გული მეუბნებოდა, ის იყო სწორი და ჰით, რომ დღესაც მჯერა, რომ გულის სამართალს არაერთხელ ვეუბნე ოდა და შენს სამართალს ხშირად ჯუთხარ:

„ოღონდ ჯერ არა!“  
ჯერ არ მგონია, რომ სიმართლე მუდაშ შენშია,  
რომ შენთვის დევნა ნეტარების არის ინშანი,  
რომ მეც შემეძლოს, კანონების შენის შიმშილით  
გავიძღვო — ჯერაც უნდო, ჯერაც მშიშარა.  
და ამ ფიქრებში გაილა მოელი ცხოვრება,  
არ ვარ დევნილი, რადგან, ვფიქრობ, იმ ქვეყანაში,  
სადაც ნამდვილი დევნილები ვერ ცხონდებიან,  
უსამართლობა სადაც დადის ასე მარმარით,  
სადაც ვხედავ, რომ შენს სიმართლედ სახავენ ურცხვად  
უსამართლობას, უზნეობას, დევნას, შერისხვას,  
სადაც მასპინძლად გადიეცევა ხვალ და ზეგ უცხო  
და ჩამომართმევს ჩემს უფლებებს ხვალე მე ის სხვა.  
მე კი ვდგავარ და მშვიდადა ვარ იმის იმედით,  
რომ სასუფეველს დაიმკიდრებს სული ეს ჩემი,  
ფეხქვეშ მეცლება დედამიწაც — რწმენაც მცირედი,  
და ამ ყველაფერს მშვიდად ვხვდები, მეტიც, ვერცვევი.  
აბა, რად მინდა სასუფევლის ტყბილი მარბათი,  
რაც ჩაიგიბარე, იმას შვილებს თუ ვერ დავუტოვ,  
პარასკევია, ხვალ დადგება უფლის შაბათი  
და სწორედ, ანდა, უფრო სწორად, ალბათ, ამიტომ  
იმედის ერთი ნაპერნკალი ამ სულს შესჩივის,  
კაეშნიანი, მაგრამ მაინც სასოფენილი,  
მე ჯოჯოხეთის ცეცხლმა დამწვას თუნდაც, არ ვჩივი,  
ოღონდ ჩვენს შვილებს წინ დაუხვდეთ სასუფეველი.

მდევნიდნენ, მაგრამ სრულიადაც არ მიხაროდა,  
ჟინმორეული შლევს ვგავდი, როცა მეუბნებოდნენ,  
რომ გავცლოდი იქაურობას,  
მსაყვედლურობდნენ, მაგრამ რა ვქნა,  
არ მიხაროდა.  
რის სიხარული ანდა რის ლოცვა,  
ეჭვით და ბრაზით ანთებული კი არ ვავრბოდი,  
შეურაცხვყოფდი იქაურ ცის იქაურ ბჭობას,  
სიცრუე იყო, რა თქმა უნდა, ვიცოდი, თუმცა  
მაინც ნერვები მაწყდებოდნენ,  
რადგან ვერსად შენ ვერ გხედავდი.  
და ვერ ვტედავდი შეკითხა მაინც ბუნებით მორცხვი  
ჩემი თავისთვის, ამას რისთვის ვიმსახურებდი  
და მერე, ერთ დღეს, ცის ბილიკზე მოვარე გამოჩნდა  
და მერე, ერთ დღეს, ცის ბილიკზე დადგა უფალი,  
და მერე ერთ დღეს კველაფერი ისე აღმოჩნდა,  
ცა გახდა ჩემი გულმდუღარე ჭირის სუფალი  
და ცათა შინა სამყოფელი რაკი შევიცან  
ტანჯვის და ტვირთის ასე ჩუმად ამოდ მზიდველი,  
იორდანესთან ამობრნებინდა მერე ჩემი ცა —  
ბრძენი მაგების ლოცვებიდან ამოზიდული.



ՀԱՅ ՃՈՆ

მითხარი, ბრძენო,  
ეს საწუთარო როდისაა უფრო იოლი:  
ბრძენი იყო და ჰეგავდე  
თუ — უგუნური და ცნობილი სიტყვაუხვობით?  
კვანძის კვანძვიდან დავიწყეთ და  
კვეფების და მოყმის ამბავი,  
მერე კი სულაც ჯაღოსნური სარკის შესახებ  
საიდუმლოც წარვტაცეთ ღმერთებს.  
მაინც ვერ დავთმეთ მოძმეთ გვამებზე  
მაძლრისად დგომის ავი ინსტინქტი.  
ვერც უდიდეს წრეს (წრფედ რომ მივიღეთ)  
ვუპოვეთ გული,  
ბრძენო, ვაი, რომ  
ამოულეველ დაოს ერთხელაც  
დიდი შეკდომა — ადამიანი — ამოუვლინდა  
და ამიტომაც ეს სამყარო  
ქვიშისგან შექმნილ ტილოს წააგავს.  
ერთი მარტივი ხაოსმოსმაა...  
...

ვალის დაპრუნება

ყოველთვის ვფლობდი პატარა მიწას,  
ვეცერებოდი და მახარებდა აღმონაცენ  
ნეტავი მეც თუ გავახარებ,  
როცა, ერთხელაც,  
ბევრად უფრო პატარა მიწა  
თავად გახდება ჩემი მფლობელი?

ნარევალობის სივძა

სიცოცხლის დაღმა გზაზე მიმავალს.  
მჭიდრო ხელყავით მიყვება სევდა.  
სახელდებითაც არ იკურნება.  
თუმც წრე დიდა და შორიდან წრფესავით მოსჩანს  
მინურულს ქრება ილუზია და წრფე იკვრება.  
მისი შიგთავსი არის უცვლელი:  
დღეს შენ გტკივა,  
ხვალ იქნები სხვისი ტკივილი.

მთლის ამოცნობა

დიდხანს იდექი მდინარის პირას  
თვალებზე ბინდით,  
არა იმისთვის, რომ სამყაროს ხმები გაგეგო,  
— მტრის გვამს ელოდი.  
ბოლოს და ბოლოს წყალმა გვამი ჩამოატარა  
ნუთუ ის არის? მტერი შეგშლია?  
გიახლოვდება, გიახლოვდება...  
ოთა საბოლოო მზარუა ახსნებო

ორსახოვნება

ცას ვუცქეროდით და  
სხვადასხვა ღმერთებს ვხატავდით.  
ან პირიქით, ყველა თავის ერთ ღმერთს ეძებდა  
მათ სიმაღლეებს ვატოლებდით, ხოლო მინაზე  
ცოდვა წელამდე შეიძოოდავდა.

ანდამცხრალი სიბობოქერეა ზეცის სიმშვიდე.  
ისევე, როგორც მთები — მშვენება —  
მიწის დუღილის შედეგი გახლავთ.  
სილამზის კაშკაშა შუქი ფანტავს სიბნელეს  
და სიმახინჯვეც ხილული ხდება.  
კაცის ხელიდან თუ რამ შექმნილა,  
ასევე კაცთა გვამებით მყარობს.  
მშენებლობისას ათ მილიონ სიკვდილს ითვლის  
სიცოცხლის მცველად აგებული დიდი კედელი,  
ხოლო ლექსი კი...  
ტკივილის ღრმა ფისკს იფუძნება მაღალი ლექსი.

სინამუშა

ჩემს ბავშვობაში არ იმჩნევდნენ ქალის დიდ ძალას.  
მის გადადგმულ მთებს ვერვინ ხედავდა.  
მოგვიანებით მეც მომიხდა მთების გადადგმა  
(ან უკვე დედას).  
ჩემს ბავშვობაში ქალი იყო სათუთი და  
დასალუპად განწირული,  
კაცის გარეშე.  
არც დედის სურნელცხებულმა ქალმა — დეიდაჩემმა  
იცოდა, რომ იყო ძლიერი.  
ვერც კი ამჩნევდა, რომ გოლგოთას  
უდრტვინველად მიუყვებოდა.  
როდესაც ერთხელ დამ დაასხა მხრებზე ობლები,  
ვერ გაპედა უბოძებო სახლში ცხოვრება  
და გამოვეტეთ ეზო და კარი.  
გამოვეტეთ და შეესიგნენ, ვით ეშმაკები  
უპატრონო ეკლესიას შეესევიან.  
და ძნელი გახდა საყურებლად პარტახი სახლი.  
დარდად დაგვაწვა და  
მოვიშორეთ დარდის მიზეზი.

၁၃၀၆၂၁၇၆၁၆၀၂

რისთვის მოდიხართ დაბლა, ფიფქებო,  
არ გნანებათ ცა — სანაქებო?  
ღრუბლების ზღვაში არ ჯობს ლივლივი,  
ვიღრე გათელვის გახდეთ არჩივი  
აკავა ჭირთვაბით?

სახე ხომ არ ხართ ცად ასულ სულთა  
და უძლეველი გჭირობ მონატრება.  
ღმერთობან ნამყოფა კი, მასავით სულთა  
ფიქტებად ქცევის მოგეცათ წება,  
ობრუანიშვილა

ନାମିତ ଗୁର୍ଜନ୍ଦେଶ୍ଵିତ ସାନ୍ତୁତରୀଳ ମୃକ୍ଷିଦର୍ଶକ  
ଏବଂ ଗୁଲ୍ମି ଇଜ୍ଞାର୍ଥକତ ଅଲ୍ପର୍ଥିତ, ବିଦର୍ଘ  
କ୍ରମିତ ହିଂକାର୍ଯ୍ୟକାରୀ କାମାରା,  
ସିଫ୍ଯାରିଶ୍ଲାପିତାକୁ ରାଜ୍ଗବାନ ଏହି କମାରା  
ଏହିରେ ବ୍ୟାକାରୀକାରୀ



**ყარამან  
ჯიქურაული**

\*\*\*  
ჩემი და საინტერესო ვინჩენტი.  
აღდგომას თბილისიდან რო მოვიდა,  
ერთი სტადიონის ურიაშული მოყოლა.  
მერე კი  
მშობლებს ისე მოეფერა,  
ბალში ასული  
და ყვავილებთან მოლოდიავე  
თოკიდან ჩამოვარდნილ და  
ბალაზე დაფენილ ყელსახვევს დაემსგავსა.

\*\*\*  
მართალია, ჩემს ნათქვამ-ნაწერებს  
სული გამოეცალა —

სიტყვები აჩრდილებივით ჰაერში ფართატებდნენ,  
დაწერილი კი უხალისოდ ელდვეოდნენ მკითხველს,  
რო გულსუნადინოდ მთიბელი ბაჩანაი თავის ცელს.

\*\*\*  
გურამ რჩეულას ნაწერები  
პირზამუქებულ კვალს ტოვებენ  
იმ წიგნის ფურცლებივით, რომელზეც სწერია,  
მაგრამ ზოგიერთი სტრიქონი  
ხეობაში გვიან ჩამოლენული სხივივით  
ჩამოაშუქებს ხოლმე.

\*\*\*  
რას არ მისცემდა მამაჩემი,  
ოდნავ მაინც რო დავემსგავსებინე:  
მენადირა,  
მესტუბა,  
მექეფია და  
მეოვეზა.  
კონვენციური ლექსები მაინც მეწერა  
თავისუფალის ნაცვლად...  
მაგრამ ესაა, რაც კი შემორჩა —  
ცეცხლი მოიქცა ნაცრად...

\*\*\*  
სამ წლისას ბიძამა მკითხა:  
საფურუ ხარ თუ სახარე?  
არვი რას მეუბნებოდა,  
ბატარამ თავი დავხარე...  
მის მერე რა არ გადამხდა —  
ზოგ ვტანჯე, ზოგიც ვახარე...  
მანც ვერ გამირკვევია,  
ხანდროს თავს ვკითხავ: „რა ხარ, ე?“

\*\*\*  
ასე ნუ ებლაუჭებით მარადისობას,  
მაინც ყველანი მარადიულად ვიქნებით.  
ზოგი — სად, ზოგიც — სად...  
მობლაუჭების ხარისხის მიხედვით.

**პარაგირი**  
ვახტან ჯავახაძეს

მე მყავდა ორი პაპა და  
ახლა მყავს ერთი ბაბუა,  
სხეულით, როგორც სანთელი,  
სულით — სათნო და ღაბუა.

ის სანამ ჩემ გვერდითაა,  
ვერ შემაშინებს ცხრა ბუა.  
ის არის ყველა ნმინდანი:  
გრიგოლ, მიქაელ, გაბოა,  
ხნიერობისას — ხახტელი,  
ჯელობაში — აბოა.

\*\*\*  
ჩემი სიმწარის ნაცვლად  
შენ დაისჯები მეაცრად.  
ჩემი გული ხომ დაწვი,  
შენიც იქცევა ნაცრად.

\*\*\*  
ტყუილად თრთი, ადამიანო,  
ჰერმენევტიკამ ფრთები შეგასხა.  
მაგრამ ახლა სხვა დროა.  
ყველაფერი უფრო სარწმუნოა,  
ვიდრე ბერძნულ ტერმინოლოგიაში ჩაწერილი  
სათუო სიბრძნე.  
მოასლოებული მომავალი  
იმედს გვიდებს,  
რომ ადამიანის უკვდავება გამოიგონეს,  
ეს კი ეგზისტენციალურ მიშებს გიფერმურთალებს...  
იქნება თუ არა სული მარადი?  
დიდ რიცტებს აქეთ დარჩენილი,  
გორილებიდანაც რომ ნამოსულიყავი,  
შემა შორეულმა მთამიმვლიბამ  
მოყირჭებელ სიცოცხლეს მიაგნო  
და ახლავეც რომ გაგძვრეს სული,  
უკან ისე ჩაგიტენან,  
როგორც ჩემი სამი წლის და  
ჩულავდა გახეულ თოჯინაში  
გადმოვარდნილ ბამბის ნაგლეჯებს.

**ემიგრანტის პედი**  
თავის თავზე

იმის მაგივრად მიეცათ  
ორდენი ანდა ვარსკვლავი,  
ზურგზე ბოლოკი აპიდეს,  
გულზე — გამხმარი შაშკვლავი.

\*\*\*  
ვინ არის შემძლე იმისა,  
დაძლიოს გრავიტაცია?  
ან თივისმჭამლად აქციოს  
ლეგჩოხა კრავიტაცია...

\*\*\*  
ოცდათვრამეტი წელია,  
უშელავათო ომში ვარ,  
როცა ვსვამ, უფრო მწყურდება,  
თუ შევჭამ, უფრო მომშივა.  
თავი ათენში მეგონა,  
თურმე ნუ იტყვი — რომში ვარ.

\*\*\*  
ჩემი თავი მე არ მახლავს  
(არ ვიცი, როგორ ვიახლო),  
ამიტომ გაჭირვებას ვძმობ,  
სიღარიბესთან ვზი ახლო.

\*\*\*  
ცხოვრებისაგან პირშექცეულს  
რიგი დამითმეს სალაროსთან.  
მხსნელი მაღალი გოგო იყო,  
მაღალი, როგორც სარაგოსა.

\*\*\*  
ორჯერ გამანადგურა ახლობლის დაკარგვამ,  
გული აღარვის უახლოვდება.  
უფრორე — სხეული როცა მისაახლებლად იწევს,  
გული მისგან მიდის და  
ამ წინმსწრებად განწირულ პროცესს  
გარედან უყურებს.  
თქმა რად უნდა — ამ გაქცევას  
ახალი ახლობლის  
შესაძლო დაკარგვის შიში მბრძანებლობს.

### სიმამაცით დაურვებული სულები

ძალილი თუ ცოფისგან თვალაბმული არ არის,  
შეგიძლია, დიდი გულის კიდეგანზე გაარბოლო  
და სანამ ბოლომდე გავა, გაიაზრებს,  
რომ არ უნდა გიკბინოს.  
ძალის მაგივრად შეგიძლიათ, ადამიანი ჩასვათ  
ან ამინდის უინიანობა.

\*\*\*  
გარეშემოუწერელო და დაუსაბამოვ,  
ვინ შემოგწირავს დედისწილ ცრემლებს  
ან საბანს ვინ გაგისწორებს შუალამისას?

\*\*\*  
აი, გათენდა.  
სანამ დასამინებლად შევალ,  
ჩემი რიტუალის თანახმად, აივანზე გავდივარ და  
ათი წუთი ვწერდები.  
ამ დროს გაზის გამათბობელს ვთიშავ,  
რომ ნამწვი არ შევიყოლო სიზმარეთში სასუნთქად  
ჟანგბადის ნაცვლად.  
ჩემი ბინის სასწორი  
მოპირდაპირე კორპუსიდან  
ქალი გამოდის და სარეცხის ფენას იწყებს.  
მე — 1.78 ვარ და თითოს წვერებზე ვიწევი, რომ  
იმ ქალს 1.83 მოვეწევნო.

### ზურ გერგედას

მაესტრო,  
შენი გვარი არ მიკვირს, მუზების სავანე რომ არის.  
დამბადებლისგან გარდმოვლენილი სულები  
სწორედ შენს სხეულს რო ირჩევენ დასავანებლად.  
გვარში ის ადგილი გაქვს ჩადებული, სადაც  
მორიგე ღმერთმა ხეთიშვილი ჩამოსხა,  
როგორც ზეციური დესანტი მომძლავრებული და  
ზეპირად მოარული ბოროტების გასანადგურებლად.  
ტრადიცია გრძელდება —  
დამბადებელმა ამავე სახელის მქონე ადამიანში  
გარდმოვლინა მუზები, მეტაფორები და  
პოეტურ შედარებათა მთელი წმიდა ლაშქარი,  
დასახა ისნი, როგორც ხეთიშვილი,  
მოვლენილი შეინრებული მკითხველის გადასარჩენად  
და განუწესა ბიძლითადი მლოცავად.

### თემურ ჩალაბაძეილს

მიყვარს კახეთში სტუმრობა —  
თვალი მეტ სივრცეს შემოწერს.  
კახთ რო იციან ხუმრობა,  
ამაზე კარგად თემო წერს.

\*\*\*  
შენ ვერ მოგწდი და  
მთვარეს ვაკოცე...

\*\*\*  
როცა ავად ვარ,  
მაშინ ლექსებში შენს სიზმრებს ვყვები,  
ასე ურცხვად და დაუფარავად,  
იმის მაგივრად, გულზე მომეშვას,  
სწორედ ამისგან უფრო ავად ვარ.

\*\*\*  
ვინც მეოცე საუკუნეს მიუუსნარით,  
როგორც მატარებელს —  
რომელსაც კი არ უნდა გავყვეთ,  
რაღაც დაგაბაროთ  
და გამოვმალდით საშინაოდ — 21-ე საუკუნისკენ...



აღსრ მახსოვეს ჩემი სახე. ისიც ალარ  
მახსოვეს, მსგავსი საუბრები როგორ იწყე-  
ბა. თითქოს რაღაც შესავალი უნდა, მო-  
მზადება, თამაში. რაღაც კითხვა, რაღაც  
პასუხი. მერე ისევ, და ასე. ყოველ ჯერზე  
ართულებ, უფრო ღრმად ჩადიხარ, უფრო  
მნიშვნელოვანს ატივტივებ იმის იმედით,  
რომ მსმენელი მოგყვება. და ისიც ცდილო-  
ბს. უფრო რთულდება. სანტერესოა უკვე.  
თავიდან სულელური სიტყვათა გაცვლა  
ახლა რაღაცის ძიებას ემსგავსება. მოგყვე-  
ბა, ცდილობს: უპს, შენი სიტყვების განმე-  
ორება დაინწყო და ხვდები, სადაც ახლო-  
საა ის საზღვარი, რომლის იქითაც მარტო  
რჩები. იხტიბარს არ იტეხ, გინდა, გამოთქ-  
ვა და მოსაუბრის შეუგალობა დაპროლე-  
ბაა არაა მოზღვავებულისთვის. საუბარი  
მონოლოგს ემსგავსება. ჰყვები უსასრულო  
დღეებზე, წუთებზე, რომელიც შენებურად  
აღიქვა. წამით ამაყობ კიდეც, რომ გასცდა,  
გაკვეთე საზღვარი. აჯობე კიდეც მსმენე-  
ლს, მეტი გცოლნია. მაგრამ საუბრის მიზა-  
ნი გაშიფრულ იქნა, აშკარად ხელიდან გას-  
ხლტა. და გრძნობ, მცდელობა, შეცნობი-  
ლემნა შენი მსგავსი არსებისგან, უსასრულ-  
ოდ გადაიდო. როცა გაივლის წამიერი გამ-  
არჯვების ეიფორია, მოდის მწარე მარცხის  
გარდაუვალობა მთავარი მიზნის მიუღ-  
ევლობისა.

საუბარი გრძელდება. უკვე ხვდები, სადღაც შეტოპე, შეამჩნიერა, თვალი აგარიდა. გაიაზრე: სხვა გასართობი მოუნდა. შენი სიტყვების რაკანი ფარზე მოხვედრილივით ისხლოტება ყურის საზღვრებთან. დროა, დაბრუნდე, გამარტივდე, ნაცნობი სიტყვებით ელაპარაკო... ხედავ, ისევ მობრუნდა, ცოტაც და ყურადღებას იქცევა... აი, გამოიცნო, გაუხარდა, სიტყვა ჩამოგართვა. ახლა ის აგრძელებს და აქვეა ერთობის შეგრძნება.

დღროებით გიტაცებს, აპყვები. თამაში გრძელდება, მაგრამ ბრუნდება ის ძველი გრძნობა. ზურგს მოგპარვია, გულის კუნ-ჭულში სადგურდება. ნელა ფართოვდება, იკავებს რა შენს გონებას აზრამდე, რომ ისევ ვერ იქენ გაგებული, ისევ ვერ იქენ შეცნობილი, ისევ და ისევ ძებნა მოგინეხვს, გაცნობის თავიდან ინიციალიზირება. და ასე, ამდაგვარად კარგას აზრს საუბარი, მოსაუბრე მასთან ერთად.

შეიძლება, ამ მომენტში მეც დავკარგე  
ვალიდურობა მკითხველთან და ჯიუტი  
ვარ, რომელიც იხტიბარს არ იტეხს იმედ-  
ით, რომ შენ მისმენ.

მე ალარ მახსოვეს ჩემი სახე. დავკარგე  
მომენტთან წყდომა, როცა ის ბოლოს ენ-  
ახე. თვალწინ მიდგას სარკე და მაინც სხვა  
ვარ თითქოს. მითქვამს ჩემი თავისთვის,  
სხირად უნდა იხედო ანარეკლში-მეთქი.  
იქნებ დაგამახსოვრდეს, იქნებ გაიგო. ვც-  
ადე, ბევრჯერ — არ გამოვიდა. ყოველ  
ჯერზე მე მავინცდება ჩემი ეს სახე.

და ასე დავდივარ, დავებოტები ქალა-  
ქის ქუჩებში.

გაიცავდით ეს ადამიანი. გიორგი უსახო. არა, არა, არ დაბადებულა ასეთი. ასეთი გახდა. თხუთმეტი წლის იყო, როცა პირველი ბზარი გაუჩნდა სახეს. დილა იყო ესე ერთი. ჩვეულებრივი, არაფერი ისეთი ან ასეთი. წამოდგა, აბაზანაში გავიდა, სახე დაიბანა, ანუ ჰქონდა მაშინ რა დაებანა. კბილების ხეხვას შეუდგა. რაღაცნაირად მაგრად ექაჩეროდა ჯაგრისს. იფიქრებდი, კიდევ კარგი, ჯაგრისის რეკინის არაა, თორ-ემ ორი წუთიც ეყოფოდა კბილების სათი-თაოდ დასაყრელად. ეს არ იყო რაღაც ბა-ვშვირი გამოხდომა; უბრალოდ, ეზარებოდა, ცდილობდა, ჩქარა მოეშორებინა. მისი მოკლე ჭკუით, ჯაგრისის ს სწავლი და მარ-დი ქნევა სწრაფ შედეგს მოიტანდა. მორ-ჩა, თმების დავარცხნაზე გადავიდა, ერთი კარგად აუსვა სავარცხელი. ხშირი თმები მარჯვნიდან მარცხნივ გადმოზნიქა. ოჟ, როგორ ეჯავრებოდა ეს საზიზღაური ჯა-გარივით თმები. ოცნებობდა იმ მომენტზე, როცა დაცვენას დაიწყებდა. სულელი იყო... დაცვენადანწყებულს რაღაც იგრძნო, თითქოს მოეწვენა. შერე ისევ. ბოლო-ბოლო დაინ-ტერესდა და სარკესთან მიყუდებულმა გა-დაშალა. იქ, სადაც შუბლი თმებში გადა-დის, პატარა ორმო იყო გაჩერნილი, თვალით ძლივს შესამჩნევი, მაგრამ ხელშესახები. მოკლედ, დიდი არაფერი და გიორგიმაც ასე ჩათვალა.

ეს იყო პირველი ბზარი, რომლის მიზე-  
უც არც მას ახსოვს კარგად და მე, მითუ-  
ეტეტეს, რა გამახსენებდა, მაგრამ ღრმად  
მოიტვიფრა მეორე ბზარი მის ჯერ კიდევ  
ავშვეურ სახეზე. ეს ჭრილობა მნარედ აგო-  
რდება. ოჟ, როგორ მოსდიოდა ცრემლები,  
ანანამ რაღაც მექანიზმით შუბლიდან ყე-  
ლამდე დაუარა წვამ, როგორ იტალლებო-  
და მეჩივით.


დედა და მამა საუბრობდნენ აივანზე.  
კიორგის მეორე დღეს ბიძაშვილთან წასვ-  
ლა უნდოდა, რადგან შაბათი იყო. ეგონა,  
უკარს არ ეტყოდნენ და ამის სათხოვრად  
მიდიოდა მშობლებთან, როცა მიახლოებუ-  
ლს თავისი სახელი მოესმა. ინტერესმა გა-  
ლებინა მასში, მიაყურადა. მშობლებს შორ-  
ების ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ისინი  
პირდებოდნენ ერთმანეთს, განიხილავდ-  
ნენ, გიორგი ვისთან დარჩებოდა. რთული,  
მშობებიმ იყო გაგონება, მაგრამ სამეცნიერო-  
ი ბევრი მსგავსი ამბავი ხდებოდა. ეს გა-  
რემორგა ოდნავ, მაგრამ მაინც, ამსუბუქე-

გამოხატული მხიარული ხასიათისა, მასაც პერნდა დასამალი. მისი მომხილავი კის კისი ყველაზე მეტად მაშინ იჩენდა თავი როცა უჭირდა, როცა გონებას წარსულ ემძლავრებოდა, ლამობდა ანბყო ამოეშალა, ამოეშანთა, მომავალი დაქმო. მარტო დარჩენილს ოვალები ულურჯდებოდა კანი უფითრდებოდა, ძალა ეცლებოდა გიო კი არსად ჩანდა. ის თავის სახეს დასტირდა, ისევ და ისევ უყურებდა სარკეებ მაგრამ ვერ იმახსოვრებდა, კარგავდა ხატებას თავისი არსებისა.

მას შემდეგ უამრავმა წელმა განვილო  
არ მოვიტყუები, საუკუნეებმაც. დღეს გიო  
რგის სახე აღარ აქვს, ნანამ ის მიატოვა..  
მოხუცი კარი სახლისკენ მიდიოდა, ვგი  
ანი შემოდგომა იდგა — დრო თოვლის მო  
ლოდინისა და ქარს აყოლილი ხმელი ფოთ  
ლების შრიიალისა. ცივი ნიავი კისერზე მო  
ხვეულ შავ შარფს ჰაერში უმონებალოდ ათ  
ამაშებდა. თხელი პალტო, აქ-იქ დამტვერ  
ილი, ზოგან გახუნებული და თვალმორლ

მერაბ შონია

# მისტერიალის არავინ



ბდდა მდგომარეობას. გიორგის უფრო მეტად მამის სიტყვები ეწყინა. სხვა ჰყავარებოდა ამ მომენტისთვის, შვილი კი აშკარადაბრკოლება იყო. მამამ უფხო და უვარებისი უწოდა: „არ ვიცი, მისგან კაცი როდის დადგება“ — ეს სიტყვები ახლაც მნარედ აგონძება. აგონძება ტკივილი, რომლითაც იმ წუთას სახე დაესერთა. აგონძება შეკვება, მოთინება, რითაც დაძაბუნებას შეხვდა და ბრაზი ერევა ყოველ გახსენებაზე. აქ დამთავრდა ბავშვობა — დილით სხვა

დიდი ხანი სარკეს აღარ უყურებდა: მოგონება, ნაირუევი არ ანებებდა თავს, დრო გადიოდა, მაგრამ არ ხორცდებოდა. ასევა, თუ ტკივილი არ გეშვეპა, გადასაფარად ახალი და უფრო მძაფრია საჭირო. მას მერე განვლო დრომ. კიდევ ბევრ-ჯერ დაისერა, დაიღლარა სახე. ზოგი ტალღად აჩნდა, ზოგი სწორ ხაზად... იმ მომენტისთვის, როცა მან სახის ნაწილი დაკარგა, უამრავი ნაკვალევი აჩნდა — შეხორცებული, ზოგი კი ლია.

დღიდი ხახი უყვარდა გიორგის ხახა, ძმ-  
რიდან ევლებოდა ლამის წლობით, ვერა და  
ვერ დაუახლოვდა ამ ღია და მხიარულ გო-  
გონას. იმედად ესახებოდა, ნანა შეძლებ-  
და ჭრილობების მოშუშებას, დაშოშმინე-  
ბასა და განკურნებას. მიუხედავად ასეთი  
სახისა, ნანა მას შეიყვარებდა. გიორგის არ  
ჰქონდა მარიფათი, არ ჰქონდა შნო, ფხა,  
როგორც მამამისი იტყოდა, ის ვერაფრით  
გადადგამდა პირველ ნაბიჯს და ეს ნანამ  
გააკეთა. დამეგობრდნენ. გიორგის ჭრილ-  
ობები ულტებოდა, იკურნებოდა დავინებუ-  
ლი; ამავ ამით კომისარი მომიარეობდა

ծու ց նուտ, ոճեցուտ, ռոմելլսաց մօմծացալու  
լուսախազդա, մագրամ նանա დաღալա, დაյէանցա  
գ ցորշը կրոլողեծիս մօմշյացէամ, ման լու-  
րո տվյա սաշրտու սանուցրագ էյցուա ցուու-  
լաձիրոնտեծի, րագրան նանասաց ჭորդեծո-  
ւա զուզաց, զոնց մու կրոլողեծի շընինցա-  
լուցդա. դուս, մոյսեցազագ ասց մըցուրաց

ვეული, ვერა სითბოს აძლევდა პატრონს ყავარჯენს ჩასჭიდებოდა, რომელიც ამა წინ ვაგზლის ბაზრობაზე ნახევარი ჰენსიი ფასად შეიძინა. ასაყი რომ გეკითხათ, ვე გიპასუხებდათ, ვერ გეტყოდათ. იმიტო არა, რომ არ ახსოვდა, წლებია, წლების თველა შეწყვიტა — დრომ მნიშვნელი დაკარგა!

ମୋହୁରୁ ସାବଲଶି ମିଦିଦିନୋଡା, ଏଥିନ୍ଦି ଫାତିର  
ରିହାଲ୍ଲେବୁଣ୍ଡି ଫୁଟଲ୍ଲେବୀଳି କୁରିରାନ୍ତିକ୍ରେଲି ମି  
ଲ୍ସେଫାଚ ଦାଲାମିଗ୍ରାମ୍ବୁନ୍ଦ ମ୍ବେଦିବ୍ୟେଲିନ୍ଦାବା ଆ  
କ୍ଷେତ୍ରେବ୍ଦିଦା, ଅଶ୍ଵନଦ୍ରିଙ୍ଗବନ୍ଦିବ୍ରଦିବ୍ରାନ୍ତିକ୍ରେଲି  
ଦା, ଗାପ୍ରେଶଦା, ଉତ୍ତୋପ୍ରକର୍ତ୍ତାଲାଦ ବିଗରନ୍ଦିନ୍ଦା  
ଲ୍ୟେବଲିନ୍ଦାବା. ମାତ୍ର ରାମ ମାତ୍ର ଉନ୍ଦରୋଡା, ମାଗରା  
ରିସଟଗିବୀ, ଉପ୍ରେକ୍ଷେବ୍ୟେଲି ବ୍ୟର ଗିପାଶୁକ୍ରେବ୍ଦାତ. ଏହି  
ଜ୍ଵଳିଲ୍ଲ ଖେଳ ଗାଢାନ୍ତିପ୍ରେତିଆ ଉନ୍ଦରା, ଧରିନୀ  
ବିଗିବ ପାଇମନ୍ଦିବୀ, ଧାନିନ୍ଦିବୀ. ଏସି ଉପ୍ରେରଗିଲିଲୋ  
ଶ୍ଵେତୁଣ୍ଡି ତାଙ୍କ ଅର ଗାନ୍ଧିରାମାଦା ଦା ମୋହୁରୁ  
ବିଦାଯା, ସାନାଥ ହାନ୍ତିରୁଣ୍ଡି ମଠିଲି ଦୂରଲୋ ଶ୍ଵେତୁ  
ଦି ମିଦିଲୁନ୍ଦିବ୍ରଦିବ୍ରାନ୍ତିକ୍ରେଲି କାରମି ମିତ୍ରରିବୀ ବନ୍ଦିଲାଙ୍ଗେବୀ  
ବ୍ୟରେତ୍ତିଦା. ଏଇ, ମୋହୁରୁ, ନିତେଲ୍ଲ ଧିରନ୍ଦିନ୍ଦା ଲ୍ୟେବି  
ଲ୍ୟେବିତ ମିକରା ଶ୍ଵେନ୍ଦିବୀଳି କ୍ରେଦେଲ୍ଲ. ବିଗରନ୍ଦିନ୍ଦା  
ବିଜିତ ଦା ବାହିଜୀ ଗାଢାଦିଗ୍ରା.

შისი ასაკის ადამიანს შვილიდვილებ  
უნდა ჰყოლოდა, შვილები, შთამომავლობა  
ანუ ის, რითაც ასაკეფანი „უამაძე“ ირ  
თობენ დროს და ნაკლებად მტკიცნეულა  
ტოვებენ ფერად სამყაროს. მაგრამ არ ჰყა  
ვდა და არ ჰყეარობდა. არ იცოდა, რისთ  
ვის უნდა განეგრძო ცხოვრება და როც  
ფიქრობდა, როცა წახსდა, ხვდებოდა, რო  
სიკვდილი ეზარებოდა.

რატომ არ ნებდება? — იკითხა ხმამაღლა  
გაოცებით და პასუხი არავინ გასცა.

მოხუცი საძინებლისკენ დაიძრა. ამ პატარა „ხრუშჩილვეკის“ ერთოთახიანში დიდი მანძილის გავლა არ უწევდა და მოხუცებულობაში მხოლოდ ეს იყო ამ ჩაუანგებული ბინის ხიბლი. ჩაი კა მაგიდაზე ულად ცივდებოდა, ისევე როგორც პატრონი საბინის ქვეშ. სწუხდა, მფოთავდა, კითხულობდა — „რატომ არ ნებდება... რატომ არ ნებდება?“ და ცხადად, ცოცხლად ნარმოულგა თვითმკვლელობის სცენა. „თოკი არა!“ — რადგან სუნთქვა უყვარდა, მდინარეც იმავე მიზეზით გადათქვა და ბოლოს გაახსენდა ახალგაზრდობაში ნაფიქრი მეთოდი, ვენების გადასერვა, მშვიდად, უშფოთველად, თითქოს ძილში გაპარვა. დაინახა, თუროგორ ევდოის და მისი სხეული, როგორ უონავდა შავი სისხლი, როგორ მიცურავდა იატაკზე და ზოგან დამტკრეული პარკეტის ქვეშ იკარგებოდა. ხელშიც კი იგრძნონ ოდნავი კექნა, ხახუნი, მსგავსი იმისა, როცა ჭრილობა გიხორცდება და ძალიან გინდა, ხელით მოსინჯო. ისიც იგრძნო, როგორ ნაგიდა გონებიდან ძალა, როგორ ბნელდებოდა ოთახი, როგორ ჩაქრა სინათლე და სუნთქვა, რომელიც ყოველთვის უყვარდა. სისველემ შეანუხა. უკვე გაციებული შარვლის ქვეშ უსიამოვნობ ჩაუყვა. დიახ, შარვლით იძნებდა. იმ ნამს ეს სიკვდილიც შეზიზდდა, გაუწყრა, გადათქვა. აგერ უკვე მრავალი წელი იყო, ისევ გადათქვა. თავისთვის სასურველი თვითმკვლელობა ვერ მოეფიქრებინა და სწორედ ამას აპარალებდა, რომ ცოცხალი იყო.

წვალებით ჩაეძინა, მერე დილა ისევ თა-  
ვის ტკივილით დაინტყო. გალახული მაინც  
ადგა, რადგან თავშესაფარში წერიანის მო-  
სატანად უნდა ნასულიყოყო. მერე ფიქრობ-  
და და გზაში კითხულობდა — „რატომ არ  
ნებდება... რატომ არ ნებდება... რატომ არ  
ნებდება?“

ქალაქში თოვლი მოვიდა, შეუმჩნევლად  
შემოიპარა დასავლეთიდან და ნაყოფად  
ბავშვების სიხარული გამოიღო. ქუჩაში  
ორომტრიალი და ოხშივარია, გუნდაობით  
დაღლილი ბავშვები ქოშინებენ, ისვენებენ,  
მერე ისევ დასდევენ და ასე დაუმთავრებ-  
ლად. პატარების სიხარულს აყილილი უფ-  
როსებიც არ აკლებენ ერთმანეთს. ვისაც  
არ ჰყავის პირმშო, ძაღლს ასეირნებს. ზოგი  
კი ფანჯრიდან ტკბება ამ მოვლენით. „კარ-  
გი, კარგი, გეყოფა“ — დედა ვითომ ჩეუ-  
ბით და უფრო ღიმილით ცდილობს, დააშ-  
ვიდოს შვილი, რომელსაც გუნდა მოუდე-  
რებია. პატარა არ ეშვება, დედა გაემზადა  
ცივი უსიაროვნებისთვის. აი, გამოფრინდა,  
პირდაპირ სახეზე მოხვდა, გაამწარა კიდ-  
ეც, მაგრამ შვილის კისკისმა სწრაფად და-  
ულბო: „უხ, შე პატარა გაიძვერა, ახლა და-  
გიჭერ“. ბავშვი გაიქცა, დედა გაეკიდა.

იქვე და-ძმა დასდევს ერთმანეთს, მაც-  
რი მამა მაყურებლად დამდგარა მათ თავ-  
ზე. იქით, მოედნის ბოლოს, ქალი თეთრ  
ფუმფულა ძაღლს ასეირნებს, ღვედი ჩეკუ-  
ლზე მეტად აუშვია, ძაღლი თოვლში ნები-  
ვრობს, ხან ჩაეფლობა, ხან ცხვირით თხრ-  
ის. პატრონი ხალისობს, უხარია. „მამა, მა-  
მა, თხილამურებს მიყიდი?“ — ეხვენება  
პატარა, ქერა, ცისფერთვალება გოგო შავ-  
გვრემან მამიკოს. „ახლა? რად გინდა?“  
„აბა, გუდაურში წაგიყვანო!“ — კეკლუც-  
ად ულიმის და თვალებს იმრგვალებს. მა-  
მას გული ულება, იხუტებს: „გიყიდი, აბა,  
რას ვიზამ!“. მათ უკან კი მოხუცი ქალბატ-  
ონი და მისი მეულლე ნელი ნაბიჯებით მი-  
იწევენ პარკის სკამისკენ, გზაში კისკისე-  
ბენ და ერთურთი უხარიათ.

ძორიდას ძალლის ყეფა შოისშა, ძკაფიო  
გახდა, როცა ღრენაში გადაიზარდა, ყვე-  
ლამ ყურადღება მიაპყრო. პარკის ბოლოს  
შავი სილუეტი ზურგით დგას, აშკარად გა-  
ვლითაა, გასასვლელს უმიზნებს. თეთრი  
ძალლი კი წრებს ურტყამს, ყეფით არ ემვე-  
ბა. პატრონზე ჭორაობაში გართული გიშვი-  
ით გამოვარდა. პატრონზანახულს მეტი  
ძალა მიეცა, ღრენას უმატა, ლამის და ეძ-  
გერა, როცა საყელურში ხელი მოეჭიდა:  
„გაჩერდი, შე უჯიშო შენა, როგორ იქცევი!“  
— დაუყვირა, ძალლმაც გაიგო, შენვეტა  
ორინა.

- ბადიში, ბატონო გიორგი, როგორ გამომეპარა, არ ვიცი!
- არა უშავს, მათა, შენი ძალით ვირას

დამიშავებს! — ნაოჭებიდან თეთრი მოვ-  
ლილი კბილები გამოაჩინა.  
— თქვენ როგორ ბრძანდებით?





21-ე სასურალის ადამიანს საკუთარი თავის შეცნობის სურვილი, იქნებ, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ამის საშუალება აღარ აქვს, რადგან მისი დრო და ენერგია მხოლოდ ერთადერთ რამეს — სამსახურს ხმარდება, სხვაგვარად ვერ გადარჩება და ეს, იქნებ, ომების, პანდემიისა და უკიდურესი სიღარიბის შემდეგ, თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი უდიდესი ტრაგედია... მას შემდეგ, რაც ამ ყოველივეს კარგად გავიზრებთ, ბუნებრივია, გვებადება კითხვა: ლიტერატურა — ისიც განწროვაგებით — მხატვრული, თვალსა და ხელს შუა ისეთივე ანაქრონიზმად ხომ არ გვექცა, როგორადაც დიდი ხნის წინ ფილოსოფია?... აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ეგრეთ წოდებულ ჰუმანიტარებს განსაკუთრებით გაუჭირდებათ, უფრო სწორად, სიმართლის თქმა გაუძნელდებათ, დანარჩენები არც კი დაფიქრდებიან გიპასუხებენ — დიახ. 21-ე სასურალები სულ უფრო რთული, ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება, იყო კარგი მეითხველი, რაც, თავის მხრივ, ავტორისთვის შეუძლებელს ხდის, ბოლომდე უერთგულოს ლიტერატურას. ამ საკითხზე დაფიქრების, შემდეგ ამ მსაზღვრის მიზანი და მიზანი არ მოიმართდა.

ქერატურის ინსტიტუტის უურნალ „კრიტიკის“ 2012 წლის ნომერში დაიბეჭდა. ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში გასული საკუუნის ბოლოსა და 21-ე საკუუნის პირველი ათწლეულის პირველ ნახევარში დასრულდა, თითქოს საკუთარი თავი და შესაძლებლობები ბოლომდე ამონურა, 21-ე საკუუნის 20-იან წლებში კი საერთოდ აღარ არის აქტუალური მასზე წერა და საუბარი, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ათი წლის წინ მისი თუნდაც გაკვრით ხსენება პიროვნების ინტელექტუალის დონის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნეოდა. მართალა, ლიტერატურაში ახალი მიმდინარეობა ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ხელოვნების სატორია ცხადყოფს, რომ არსებობს ერთგვარი ინერცია, რომელიც ძველის, დრომოქმულის არსებობას რაღაც დოზით ახაზგრძლივებს, მისი უმთავრესი მახსაიათებლები კი კიდევ დიდხანს დომინირებს მანამ, სანამ ახალი საბოლოო ფორმასა და სახეს არ მიიღებს, თვალშისაცემი, გამოკვეთილი, წინა ეტაპისგან მცველრად განსხვავებული მახსაიათებლების ერთობლიობად არ იქცევა... ლიტერატურულ წერეში უკვე საკმაოდ ხში-



## სოფიო წულადა

# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

რად საუბრობენ პოსტპოსტმოდერნიზმზეც, თუმცა მას სხვ ყურადღების გამახვილება ჯერ-ჯერობით ძალაან რთული, პრაქტიკულად, შეუძლებელიც კია, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ჩანასახები იკვეთება, ამიტომ ისევ პოსტმოდერნიზმს მივუბრუნდები და იმაზე ვისაუბრებ, რა ერგო ალნიმუსულ ტექსტს მემკვიდრეობით ამ ყველაზე ეკლექტური, დესტრუქციული, მიმტაცებელი, საკუთარ წიალში ყველაფრის ერთნაირი ვნებითა და სიამოვნებით მშთანთქველი და ერთ-ერთი ყველაზე საკამათო მიმდინარეობისგან.

მოდი, თეორიულ ნაწილზე მსჯელობას პისტისტრუქტურალიზმით დავიწყებ. როგორც ცნობილია, მისი მთავარი მახასიათი ებელი თეორიისა და აღმოჩნდას მიერ აღნ-

ერილი მოვლენების ურთიერთშერწყმაა.  
ასეთ ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლება,  
ერთი მხრივ, ესეისტური ჩანართები, მეორე  
მხრივ, მკრო თუ მაკროსიუჟეტები, უფრო  
სწორად, სიუჟეტური ჩანასახები, ეს კი ქმნ-  
ის ტექსტის ისეთ ფაზულას, ქსოვილს, რომ-  
ლის ცალკეულ ფრაგმენტებსა თუ ეპიზო-  
დებს, ხმირ შემთხვევაში, ერთმანეთან  
აკავშირებს ბუნდოვანი, სუსტი, პირობითი,  
ნარმოსახვითი ძაფები, ზოგჯერ კი ასეთი  
დამაკავშირებლები საერთოდ არ იკვეთე-  
ბა. დავით ქართველისშვილის რომაზი „მე-

გაპოლისი და ფიზიკური პირებიც “ერთმანეთთან ერთი შეხედვით სრულიად დაუკავშირებელი ოთხი ნანილისგან შედგება. მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ — ავტორის თხრობის სტილი, რომელიც ხანესეისტურ ფორმას ანიჭებს უპირატესობას, ხანაც — მხატვრულ პრიზას. ორივე შემთხვევაში თხრობის ტემპორიტმი არც ზედმეტად აჩქარებული და არც ზედმეტად, დამღლელად, გამაღიზიანებლად და ზოგჯერ დამთრგუნველად მდორეა. მწერ-



აღსანიშნავია, რომ ავტორის მხრიდან ეს მხატვრული ტექსტი ჩაიფერებულია, როგორც „რომანი-ბმული“, რომელიც ზუსტად ისევე, როგორც გასულ საუკუნეში ეგრეთ წოდებული ცნობიერების ნაკადი, ახლა კი ვირტუალური რეალობა, უფრო სწორად, ინტერნეტსივრცე, სხვადასხვა სფეროსა და განზომილებაში გადასვლის, უფრო სწორად, გადახტომის საშუალებას გვაძლევს. როგორც მყითხველს, სრული უფლება გაქვს, თავად აირჩიო, რომელ ბმულზე ლირს გადასვლა — ანტიკურ ფილოსოფიაზე, რომლის ადგილიც თანამედროვე სამყაროში ფიზიკურად აღარ არის, მოყირჭებულ, ათასჯერ გადაღეჭილ, უკან ამოღეჭილ და კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ გაღეჭილ ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზზე, 21-ე საუკუნეში მსოფლიოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაზე, კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებზე, ინტელექტუალურ პროზაზე, პოეზიაზე, რომელზეც საკმაოდ ხშირად საუბრობს რომანის ავტორი, რელიგიას, მედიტაციასა თუ უმცირესობის დისკურსზე, რომელიც რომანის ბოლო, ჩემი აზრით, ყველაზე სრულყოფილი და ემოციური ნაწილის ძირითად საყრდენს, ერთგვარ სუბსტანციას წარმოადგენს, აბსურდზე თუ კოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელზე — თამაშის ხელოვნებასა თუ ნილბის ფილოსოფიაზე... მე, როგორც მყითხველი, რომელ ბმულზე გადავედი და სად შევყოვნდა ყველაზე დიდასწანს? რა თქმა უნდა, ლიტერატურაზე, იმიტომ, რომ დანარჩენი ყველაფერი ისედაც უხვადა 21-ე საუკუნის ერთი რიგითი მოკვდავის სწორედ იმ ცხოვრებაში, რომელიც, ავტორის აზრით, სულაც არ არის ისეთი საინტერესო, როგორიც ანტიკურ პერიოდში იყო. მე, ისევე, როგორც ყველამ ჩემ გარშემო, იდეალურად ვიცით, რომ მამისგან თავის დაღნევის გზა უკიდურესი სიღარიბეა და ამასთან ფროიდი საერთოდ არაფერ შუაშია, უბრალოდ მამებს არ უყვართ წარუმატებელი შვილები, წარმატება კი ფულის გამომუშავების პირდაპირ პროპორციულია, ფულის, რომელიც მხოლოდ მაშინ გაქვს, როცა ბევრს მუშაობ და დრო არაფრისთვის, მათ შორის, არც სიცოცხლისთვის აღარ გრჩება, თუმცა საქართველო ამ მხრივაც გამონაკლისია...

რადგან წინა აპზაცის ბოლოს ერთ-ერთი ლოკაცია — ავტორისა და ჩემი საშმობლო ვახსენები, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ რომანი მოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიაში ვითარდება, მაგრამ ამ სივრცესაც აჩრდილივით ასდევნებია საქართველოს, როგორც უფრო არქეტიპის, ვიდრე ქვეყნის ხატება და სწორებ ეს გვარნშუნებას ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების ჭრმარიტებაში — რომ ცხოვრება ერთფეროვანი დოკუმენტალისტიკა კი არა, ერთი დიდი ტრაგედია, სადაც ხან პარალელური, ხან კი ჯვარედინი მონტაჟის საშუალებით ლაგდება ჩვენი ამბები წარსულსა და ანშეონზე, ამბები, რომლებიც არავის აინტერესებს ჩვენ გარდა, ჩვენ კი მაინც ჯიუტად ვცდილობთ მათ გადასხვაფერებას, გარდაქმნას, გაშალაშინებას, გამრავალფეროვნებას და შემდეგ სარფანად გაყიდვას იმისთვის, რომ ვიყოთ უფრო წარმატებულები.

